# დროება

№ 178 ოთხშაბათი, 12 აგვისტო 1909 წ. № 178

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვა [illegible] «დროების» რედაქციაში და კანტორაში [illegible] რა-ქმეების გარდა, დილის 9 საათიდან [illegible] თი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოთ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საღამოდის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ აგვისტოდან წლის ბოლომდე—4 მ. 40 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.


ბესარიონ ივანეს ძე ბაქრაძე, მეუღლე მისი დაფინი, გრიგოლ და ტოპიშა ბაქრაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალეს ას: პირველნი საყვარელ შვილის, დანარჩენნი ძვირფასს ძმის ფარმაცევტის

## ვანო ბაქრაძისას.

პანაშვიდები ყოველ კვირას ს. წესში, (რაჭის მაზრა) (ფ. 1—1)

თავადი კონსტანტინე ასლანის ძე, გრიგოლ, სიმონ, ალექსანდრე და დავით დიმიტრის ძენი წერეთლები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ კვირას, 16 აგვისტოს პოლკოვნიკ

## დიმიტრი ასლანის ძის წერეთლის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ქ. გორში, წმ. სამების ეკლესიაში, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე, შემდეგ პანაშვიდი (1—407—1)


ექიმ ვ. ღამბაშიძის

## სანატორიუმი

გაიხსნა 15 ივნისს. არის რამდენიმე ადგილი [illegible] საერთო ოთახებში.

დაწვრილებითი პირობები წერილით ბორჯომს.

Въ мѣст. Боржомъ. Платформа Гамбашидзе, Санаторіумъ Гамбашидзе.(0—26)

**ექიმი** ქ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—35)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—39)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოდაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ, გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მელიქოვისა. (უ)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. პ. დემიდოვი და შ. ო. სუხარევსკი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—223

**ექიმი** ვ. ღამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. ბედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 133.

## ქუთაისში

30 ივლისს საღამოს 6 საათიდან დაიკარგა ნიკოლოზ ანდრიას ძე გალდუევის მოსამსახურე ქალი ლასიანა სეხნიას ასული **რამიშვილი** (გურულია). მნახველს ვთხოვთ, შეგვატყობინოს: ორპირის ქ. საკუთარი სახლი. **ნიკოლოზ გალდუევი.** (3—კვ.—1)

**ექიმი** კბილისა ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავადმყოფობანი. ხელოვნური კბილები. ავადმყ. მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. მიხეილის პრ., ს. N 22 (სემიონოვის ქ. კუთხე, N 3). შესავალი სემიონოვის ქ. (100—1010—1)

ახლად გახსნილი ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ი. გ. ფელდშეროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ღამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ზ. ა. პიოტრი—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—130


## ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს:

განთავისუფლდა სტიპენდიები: ერთი აბესალომოვის სახელობისა—უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო სამი ქალაქისა—ტფილისის მესამე ქალთა გიმნაზიაში. სტიპენდიები დანიშნულია ღარიბს სტუდენტისა და მოსწავლე ქალთათვის ტფილისის მცხოვრებთაგან, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

თხოვნები საჭირო დოკუმენტებით შეტანილ უნდა იქმნას ქალაქის გამგეობაში 1909 წლის 20 აგვისტომდე. (3—ნ.—2)

**ტფილისის** ქართველ თავად-აზნაურთა გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭო ამით აცხადებს, რომ მომავალ სასწავლო წლისთვის (1909—1910) ვაკანსიები იქნება **პირველ განყოფილებაში, მეოთხესა და მეხუთე კლასში.**

საზოგადოდ ეგზამენები დაიწყება აგვისტოს 19-ში, ხოლო პირველ განყოფილებაში—25-ში. თხოვნა და საჭირო დოკუმენტები (მეტრიკის, აცრის და ჩამომავლობის მოწმობა) წარმოდგენილ უნდა იქმნას აგვისტოს 10-თვის.

გიმნაზიის მოწაფეებმა, რომელთაც აქამდის არ შემოუტანიათ გასულ სასწავლო წლის ფული, გამოცხადებისათანავე უნდა წარმოადგინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულად ჩაითვლებიან.

ახლად შემომსვლელნი მოვალენი არიან, სწავლის ფული წარმოადგინონ მიღებისათანავე.

წლიური გადასახადი განყოფილებაში არის 30 მან., გიმნაზიურ კლასებში—40 მანეთი.

რადგან მოწაფეთათვის სავალდებულოა მთავრობის მიერ დამტკიცებული ფორმა, საპედაგოგიო საბჭო სთხოვს მოწაფეთა მშობლებს და მზრუნველებს, მობრძანდნენ გიმნაზიის კანცელარიაში და გაიცნონ ფორმა.

კანცელარია ღია იქნება ოთხშაბათობით და შაბათობით, დილის 10—12 საათზე. (3—ნ.—2)

დ. ყვირილაში

მთავრობის ნებართვით 1 ენკენისთვიდან იხსნება [illegible]

## პროგიმნაზია

ყვირილის და მის გარშემო მცხოვრებთა საყურადღებოდ სასწავლებლის გამგეობა აცხადებს:

1. მსურველთაგან თხოვნები მიიღება 1 აგვისტოდან დროებით დეკ. დ. ღამბაშიძის სახლში; 2. მოსამზადებელ და შემდეგ კლასებში მისაღები პირობები ისეთივეა, როგორიც მთავრობის ამგვარსავე სასწავლებელში; 3. სწავლის ფული მოსამზადებელ კლასებში 50 მან. წლიურად, ხოლო 1 კლასიდან 60 მან; 4. სასწავლებელში მისაღებად საჭიროა მეტრიკული მოწმობა და ყვავილის აცრის მოწმობა. (8—კვ.—8)

დ. სურამი

კვირას, ამა თვის 16-ს, პარკში ქართულ თეატრის არტისტი **ნატ. გაბუნია-ცაგარლისა** გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება

## ბაიყუში

კომ. 2 მოქ. ა. ცაგარლისა.

## დათვი

კომ. ჩეხოვისა, რუსულად.

**ცეკვა და სეირნობა საჩუქრებით სილამაზისა** და საუკეთესო ტანისამოსისათვის.

შუშხუნები. კონფეტტი. სერპანტინი (3—1)

ქ. ქუთაისში.

თ. მთავრიშვილის წიგნის

## მაღაზიაში

დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართულ და რუსულ წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი ქართული წიგნი „გუთანი", შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა მიერ. სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველ-მოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10%. (25—ნ—2)

„განათლების" საზოგადოების

## სკოლაში

(სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 6.)

ეგზამენები როგორც დასაწყისს განყოფილებაში, ისე პირველ და მეორე პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 25 აგვისტოს. (3—3)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

დღევანდელ „ტიფ. ლისტოკ"-ში (№ 18) დაბეჭდილია წერილი ბ-ნ ი. პ—ანია. თავის წერილს ავტორი ამ ნაირად იწყებს:

ამ დღეებში „ზაკავ."-ში წავიკითხე წერილი, მიმართული ბ-ნ ანტონ ფურცელაძის წინააღმდეგ. ავტორი წერილისა ამბობს: ბ-ნი ფურცელაძე, როგორც ქართველი, არ უნდა გამოსულიყო რუსულ პრესაში, კერძოდ „ტიფ. ლისტოკ"-ში, ქართველ საზოგადოების ერთ ცნობილ ნაწილის წინააღმდეგ. ასეთის საქციელით ბ-ნმა ფურცელაძემ ანტი-პატრიოტული საქმე ჩაიდინა. უმისოდაც გვდევნიან, უმისოდ გარს გვახვევიან **გადამტერებული ტომები***). როგორ შეიძლება ასეთ პირობებში, ჩვენს მეზობლების წინაშე, ჩვენის ავარებისა, ჩვენის სისუსტის გამოაშკარავება? ესეთი წრფელობა მხოლოდ ჩვენის მტრებისთვის არის ხელ-საყრელი. ბ-ნმა ფურცელაძემ თავის გამოსვლით „ტ. ლ."-ში დიდი ვნება მიაყენა ქართველ ერის ინტერესებსაო.

ამის შემდეგ ბ-ნი ი. პ—ანი ჰკიცხავს ქართველ ნაციონალისტებს და შოვინისტებს, რომელნიც ასეთ რამეებს სწერენ და აქებს და ადიდებს ანტონ ფურცელაძეს, რომელმაც თავის „გულწრფელ და პატიოსან გამოსვლით" ვითომ ფარდა აჰხადა ზემოხსენებულ შოვინისტებს.

თუმცა ბ-ნი ი. პ—იანი ჩვენ გაზეთს არ იხსენიებს, მაგრამ ზემოდ ამოწერილი სიტყვები ნათქვამია ჩვენი წერილების გამო, რომელიც „ზაკავკაზიეში" გადაბეჭდა. ვთხოვთ მკითხველს, გულ დასმით გადაიკითხოს ზემოდ მოყვანილი ადგილი ბ-ნ ი. პ—ანის წერილისა, შეადაროს იგი იმას, რასაც ჩვენ ვწერდით და მერე ადვილად მიხვდება, რა ჯურის მწერლებთანა და მოწინააღმდეგეებთან გვაქვს საქმე. ერთ წერილში („დროება" № 163) ჩვენ ვამბობდით:

ანტონ ფურცელაძემ გუშინდელ „ტიფლის. ლისტ."-ში ლანძღვითა და გინებით მოგვმართა. დარწმუნებულნი ვართ, რომ ყოველი მიუდგომელი **ქართველი** მკითხველი ზიზღით წაიკითხავდა ამ წერილს, რადგან იგი სიყალბეზეა აგებული, თავიდან ბოლომდე სიცრუეა და რადგან ჩვენს გაზეთს სრულებით არაფრით არ დაუმსახურებია ასეთი ბოროტი მომართვა. მაგრამ, ბ-ნი ფურცელაძე ქართველ მკითხველისათვის როდი სწერს, იგი რუსულად სწერს და სხვა საზოგადოებას მიჰმართავს, რომელმაც არც ჩვენი გაზეთი იცის—რა არის, და რომელსაც არც ჩვენი შენიშვნა წაუკითხავს ბ-ნ ფურცელაძის შესახებ: ამ გარემოებით ვერაგულად სარგებლობს ბ-ნი ფურცელაძე და სცდილობს სახელი გაგვიტეხოს ჩვენც და ჩვენთან ერთად მთელ წინანდელ ქართულ პრესასაც.

მეორე წერილში (№ 165) ვამბობდით:

ანტონ ფურცელაძის გამოლაშქრება ჩვენის გაზეთის წინააღმდეგ მით არის უფრო საყურადღებო, რომ რუსულ გაზეთში მოხდა, რუსულს ენაზე. ამით ჩვენ ის არ გვინდა ვთქვათ, რუსულად ქართულ საქმეებზე, ჩვენს ავსა და კარგზე არ უნდა იწერებოდეს არაფერი. არა, ჩვენ გვინდა ვთქვათ მხოლოდ ის, რომ რუსულ გაზეთში უნდა ვცდილობდეთ, ჩვენი ცხოვრების ნამდვილი ვითარება გავაცნოთ ფართო აუდიტორიას და არა ჩვენის გულღვარძლიანობით ვკბეთ მეზობლებს.

მიმოიხედეთ ირგვლივ და შეხედეთ, რამდენი მტერი გვახვევია, რომელთაც მთელი მორევი დაუყენებიათ ცილისწამების, სიცრუისა და უნდობლობისა ჩვენ მიმართ. ტფილისში შავრაზმელთ ორი გაზეთი დაუარსებიათ განსაკუთრებით ჩვენთან საბრძოლველად; ამათ ბანს აძლევენ სატახტო ქალაქთა კაცთ-მოძულე ორგანოები. მთელი ატმოსფერა გაჟღენთილია არა-რუსთა და კერძოდ ქართველთა წინააღმდეგ მტრულის ქადაგებით. ქართველი საზოგადოება უკიდურესი შოვინისტია, სეპარატისტია, ყველას სდევნისო და სხვა. ქართველი ერი, რომელიც თითონ განსაცდელშია დევნისა და შოვინიზმისაგან და სუსტ მოგერების მოლაწეობასაც ვერ აწარმოებს, კაცთ-მოძულე ორგანოების წყალობით თითონვე ისურათება, იხატება როგორც უკიდურეს ნაციონალისტურ და აგრესიულ პოლიტიკის მიმდევარი, როგორ სხვა ერების მდევნელი და მჩაგვრელი. ასეთ უკიდურეს უსამართლო და ჩვენთვის მავნებელ აზრების გაფანტვის მაგიერ, ჩვენივე მწერლები გამოდიან რუსულს პრესაში, ჭორებს იგონებენ და საჯაროდ ბანს აძლევენ მტერ-შოვინისტთა უსინიდისო ქადაგებას ჩვენს წინააღმდეგ. ქართველი საზოგადოება და პრესა გაჟღენთილია სხვა ერთა წინააღმდეგ სიძულვილითაო, ბრძანებს ანტონ ფურცელაძემ, ყველას სდევნის, ყველას ებრძვის, ყველას იშორებს, იმის მაგიერ რომ მოკავშირეებიო ეძებოსო. უსირცხვილობა ამაზე შორს ველარ წავა! ეს პირდაპირი დაბეზღებაა, პროვოკაციაა, აშენებული ცილისწამებასა და სიცრუეზე.

ქვემოდ ჩვენ წერილში ნათქვამია აგრეთვე: „ქართულად რომ დაეწერა ეს (ანტ. ფურცელაძეს), ყველა დასდებდა ღირსეულ ფასს" მაგრამ უცხო საზოგადოებაში შეიძლება ჭეშმარიტებად აღიარონ ანტონ ფურცელაძის ცილის-წამება და სიცრუე"... ან კიდევ: „რასაკვირველია, ჩვენ ხმასაც არ ამოვიღებდით, ბ-ნ ფურცელაძეს სიმართლე რომ დაეწერა".

მაშასადამე, ჩვენ იმას კი არ ვწუხდით და ვამბობდით, რომ ქართველ ერის იარებს ამჟღავნებენ, არამედ იმას, რომ სიცრუეზე და სიყალბეზე აგებული ან ქიქება საჭირო აღარაა, რომ სიფრთხილით უნდა იწერებოდეს ასეთი წერილები, რადგან სიცრუესა და სიყალბეს ისედაც, უჩვენოდაც, ბევრს ავრცელებენ ჩვენი მტრები. როგორც ჰხედავთ, დიდი განსხვავებაა ჩვენსა და ბ-ნ პ—ანის სიტყვებს შორის. რა მიუდგომელ მსჯავრს უნდა მოველოდეთ მწერლისაგან, რომელიც თვითონ სთხზავს საბრალმდებლო მასალას, გვაწვევს კისერზე იმას, რაც ჩვენ არ გვითქვამს, და თეთრ ლისის რიხითა და ზეიმით გვეომება!.. მეორე ნიმუში: ჩვენ არსად არა გვაქვს ნახსენები, ვათომ სხვა **ტომები** ჩვენი მტრები იყვნენ. ჩვენ ვწერდით მხოლოდ სხვა ტომთა **შოვინისტ**-ელემენტებზე, რაც ნათლადაც გვქონდა აღნუსხული. **შოვინისტები** ამას წინად „გოლოს კავკაზმა" შესცვალა სხვა **ტომებად** და ახლა ამასვე სჩადის „ტ. ლისტოკი". ვიმეორებთ, ასეთ არა სინდისიერ პოლემისტებთან საქმის დაჭერა არ შეგვიძლიან...

* *
*

რუსულ გაზეთ „ოკრაინი როს."-ში ვიღაც „ტუზემეც"-ი კახეთის რკინის გზის შესახებ სწერს. ბევრის წვალებისა და დავიდარაბის შემდეგ ქართველ თავად-აზნაურობას ძლივს ეღირსა კონცესიის მიღება, და ზოგიერთებს ესეც შემურდათ. ბავშვმაც კი იცის, რა ძალიანაა საჭირო რკინის გზა კახეთისთვის; ბუნებით მდიდარი კუთხე საქართველოსი, სავაჭრო ცენტრებს მოწყვეტილი, აოხრებულია. რკინის გზა დიდათ დააწინაურებს კახეთს, ასწევს იმის ეკონომიურ მდგომარეობას. ვერც ერთი ადგილობრივი მცხოვრები იმას ვერ იტყვის, კახეთისთვის რკინის გზა საჭირო არ არისო. მიუხედავად ამისა, ჩნდებიან ისეთი „ტუზემცები" (თუმცა ძალიან საეჭვოა, რომ ეს „ტუზემეცი" მართლა ადგილობრივი მცხოვრები იყოს), რომელნიც შურის თვალით უცქერიან ამ კონცესიას და საქართველოსთვის რკინის გზაც კი ენანებათ.

როგორც ვიცით, ამბობს ჩვენი კეთილის-მყოფელი ავტორი, კახეთის რკინის გზის გასაყვანად კონცესია ქართველ თავად-აზნაურობას მიეცა. თუმცა მხოლოდ ადგილობრივ თუ იციან, რანაირად აწარმოებს ქართველი თავად-აზნაურობა საზოგადოებრივ საქმეებს: რასაც უნდა მოჰკიდონ ხელი, ჯერ აყვირდებიან, მერე კინკლაობას დაიწყებენ და დალუპავენ ხოლმე დაწყებულ საქმეს. საკმარისია გავიხსენოთ თავად-აზნაურთა სათავადაზნაურო-მამულო ბანკი თავისი ნათლი-მამობით, პარტიობითა და კინკლაობით. შეგვიძლიან მიუთითოთ კიდევ ქართველ თავად-აზნაურთა თეატრზე, რომელსაც სამოც-და-ხუთმეტი ძმა ჰყავს, მაგრამ მაინც ვერაფერი მოუხერხებიათ. მერე აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზია, სადაც პედაგოგიურ საბჭოსა და გამგეობის შორის მუშტი-კრივი იმართებოდა, ახალი შენობა ამ გიმნაზიისა, რომელიც ერთი-ხამად უფრო მეტი დაჯდა, ვიდრე უნდა დამჯდარიყო.

შეცდომების აღნიშვნა ყოველთვის სასარგებლოა. ჩვენც არაფერი გვექნებოდა საწინააღმდეგო, ეს აღნიშვნა შეცდომებისა წრფელის გულით რომა ხდებოდეს, გულ-შემატკივრობით რომ მოსდიოდეს ადამიანს. მაგრამ რა უნდა უთხრათ „ტუზემცებისთანა" ვაჟბატონებს, რომელთაც მხოლოდ ქართველების გაშავება აინტერესებს?

მიუმატეთ ამას სამოქალაქო ღმმი დაღუპულები (?),—განაგრძობს „ტუზემცი",—იმერეთისა და კახეთის გამარცვლი სახლეულო-სამეურნეო კოოპერაციები (?), ორხულთა კახები და სხვა ამნაირები,—განა ყველა ეს საუკეთესო საბუთი არ არის იმისა, რომ ქართველ თავად-აზნაურობას ნაყოფიერი მოღვაწეობა არ შეუძლიან? კახეთის რკინის გზის კონცესიასაც შეეტყობა ქართველ თავად-აზნაურობის ჩვეულებრივი უსაქმურობა.

ყველა ამას გაუძლებდა ადამიანი, მით უფრო, რომ ბევრი რამ, სამწუხაროდ, მართალია, მაგრამ რა შუაშია აქ კახეთის რკინის გზა? „ტუზემეცი" კი სცდილობს დაარწმუნოს ვიღაცეები, რომ კახეთს რკინის გზა არ ესაჭიროება. ამასთანავე გზა და გზა პროვოკაციასაც ეწევა.

მეტრეს მხრით,—ამბობს იგი,—რკინის გზა განა მართლა ესაჭიროება კახეთს? ჩვენ მზათა ვართ წინააღმდეგი მოსაზრება გამოვთქვათ. გადასახადგადამხდელ საქონლის რაოდენობა გაზვიადებულია. რაც უნდა გაიზარდოს წარმოება კახეთისა,—დანახარჯს მაინც ვერ აღადგენს; ამასთანავე ერთად არც მწარმოებელნი ისე ადვილად ჩაჰყრიან კაპიტალს, შრომასა და ენერგიას კახეთში, სადაც აბორიგენები უბოდ მწარმოებლებს სძარცვავენ, ჰკლავენ, საქონელს სტაცებენ და ბაღებს უჩეხავენ... მომავალი რკინის გზა გადმოზიდავს მხოლოდ კახურ ღვინოსა და ზაქათალის ხილს. ამის გადმოზიდვას კი რკინის გზა 3—4 თვეში მოასწრობს,—მერე რაღა? მერე თელავიდანა და სიღნაღიდან ტფილისში ისეირნებენ კახელი თავადიშვილები, რომლებიც [illegible] მიიღებენ, რომ სამსახურში თავისიანები მიიღონ.

ჩვეულებრივი დაბეზღებაა: ადგილობრივი მცხოვრებლები მხეცები არიან, ყველაფერს ანადგურებენ, ყველასა ხოცავენ; და ამიტომ არც რკინის გზაა იმათთვის საჭირო. აშკარა სიცრუეა, რომელსაც საფუძვლად კაცთ-მოძულეობა და კაცი ჭამიობა უდევს. ეს რომ ასე არ იყოს, რომელი ჭკვათა მყოფელი იტყოდა, რკინის გზა კახეთისთვის საჭირო არ არისო, როდესაც შედეგები უგზობისა ძალიან ხშირად ცხვირიდან ძმარს გვადენს ხოლმე?!

## დეპეშები

(პეტ. ტელ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 აგვისტო

### სპარსეთი

**თეირანი.** შაჰის ათი წლის ძმა სასახლის მინისტრმა ზერგენდედან თეირანში გადაიყვანა. აქ პრინც მაჰმედ-ხასან-მირზას ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადებენ.

**თეირანი.** მოვიდა ცნობა, რომ 6 აგვისტოს ყაჩაღებისგან დაპატიმრებული სპარსეთის ბანკის მოხელე რაიტი გაანთავისუფლესო.

პოლიტიკურ მეცნიერებათა შაჰისთვის მასწავლებლად მოიწვიეს ხოჯი-ენასი, ლაზარევის ინსტიტუტის სპარსულ ენის მასწავლებლის მირზა-ჯაფარის ძმა. შაჰის აღმზრდელ სმირნოვს წინადადება მისცეს, დროებით შესწყვიტოს სწავლაო.

### ოსმალეთი

**ვენა.** „კორესპონდენტ ბიუროს" სოფიიდან დეპეშით ატყობინებენ: გაზეთების სიტყვით 7 აგვისტოს ოსმალეთის მოსაზღვრე სალდათები ლეკამეკში თავს დასცემიან ბოლგარიის მოსაზღვრე რაზმს. სროლამ რამდენიმე საათს გასტანა. მოჰკლეს ოსმალეთის რამდენიმე სალდათი.

**სტამბოლი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა მფარველ-სახელმწიფოების ელჩს სთხოვა შეუდგნენ კრიტის ავტონომიის შესახებ მოლაპარაკებასაო. ოსმალეთის მთავრობა ნამეტან ყურადღებას იმ გარემოებას აქცევს,

*) ხაზი ჩვენია.

რომ კრიტეს სასამართლოებიდან საკასაციო საჩივრები საბერძნეთის სასამართლოში გადააქვთ და კრიტეზე საბერძნეთის მარკებს ხმარობენ.

**საზღვარ-გარეთ.**

**ათინა.** მეფე გიორგის ადიუტანტმა მინისტრ-პრეზიდენტს რალის წერილი მისწერა. ადიუტანტი მინისტრ-პრეზიდენტს სთხოვს უარჰყოს ის ხმა, ვითომ მეფე გიორგი ტახტზე უარს ამბობდეს და ამის მიზეზი ჯარის მოძრაობა იყოს. საზოგადოება დაკმაყოფილებულია, რომ საბერძნეთ-ოსმალეთის უთანხმოება მშვიდობიანად ბოლოვდება.

**რეიმსი.** 9 აგვისტოს დაიწყო ჰაეროსტატების გაჯიბრება. წვიმიანი დარია, ჰქრის დიდი ქარი, რაიც ხელს უშლის ჰაერში ფრენას. რამდენიმე ჰაეროპლანმა ვერ შესძლო ფრენა და ძირს დაეცნენ. არავინ დაშავებულა. დილით ცოტა ხნით რამდენიმე ჰაეროსტატი გაფრინდა. ლეფევრი რაიტის ჰაეროსტატით 24 წუთში ოცი კილომეტრი გაფრინდა.

**ქრისტიანია.** „მორგენბლადეტს“ დეპეშით ატყობინებენ: უელმანის ჰაეროსტატის დაბინავების დროს აფეთქდა ბენზინი. დიდმა ქარმა ჰაეროსტატი ჰაერში გაიტაცა. აფეთქებისაგან ჰაეროსტატი რამდენიმე ნაწილად დაგლიჯა, მოტორი მთელია. უელმანს აზრად აქვს 1910 წლის ივლისში ხელმეორედ გაფრინდეს.

**რეიმსი.** ჰაეროსტატების გუშინდელ დოღში 30 კილომეტრი გაფრინდნენ: ტისანდიე—28 წუთსა და $59\frac{1}{2}$ წამში, გრაფი ლამბერტი—29 წუთსა და 2 წამში, ლეფევრი—29 წუთსა და $2\frac{3}{5}$ წამში, პაულგანი—32 წუთში და $48\frac{2}{5}$ წამში. ათი კილომეტრი გაფრინდნენ: ლეფევრი 8 წუთსა და 26 წამში, ტისანდიე—9 წუთსა და 26 წამში, ლატამი—9 წუთსა და $47\frac{2}{5}$ წამში, პაულგანი—10 წუთსა და 50 წამში. ზომმერი—11 წუთსა და $24\frac{2}{5}$ წამში, კოკბურნი 11 წუთსა და 44 [illegible] 10 წუთსა და $\frac{1}{5}$ წამში. 20 კილომეტრი გაფრინდნენ (გორდონ ბენეტას პრიზის მისაღებად): ლატამი—18 წუთსა და 33 წამში, ლებლაკი—19 წუთში და $25\frac{1}{5}$ წამში, პაულგანი 21 წუთსა და 45 წამში, ზომმერი 23 წუთში და 22 წამში.

**მენზონი ლაფიტი.** ჰაეროსტატი „ბაიარ-კლემანი“ მიწაზე დაშვების დროს დაეჯახა ტელეფონის მავთულებს. დაჯახების დროს დაიგლიჯა ჰაეროსტატის კანი. ამის შემდეგ მდინარე სენის ნაპირზე ჰაეროსტატი დაეჯახა ხეს და წყალში ჩავარდა. ჰაეროსტატის პატრონი კაპოცცა და სამი მგზავრი ცურვით გადარჩნენ.

**ჟენევა.** ნაშუადღევს ქალაქის საგაზო ქარხანაში აფეთქება მოხდა. ერთი ვერსის მანძილზე ფანჯრები სულ ჩამტვრეულია. ნაშუადღევის 5 საათამდის იპოვეს ორი მუშის გვამი, დაჭრილია აუარებელი მუშა. ქარხანას ცეცხლი უკიდია.

**რ უ ს ე თ ი**

**სარატოვი.** სოფელ სტარი ატლაშში გადაიწვა 90 გლეხის სახლ-კარი.

**კრემენჩუგი.** 10 აგვისტოდან ქალაქის ზოგიერთ ადგილებს ცეცხლი უკიდია. დაიწვა ტყის ორი სახერხავი ქარხანა, ტყის და შეშის ათი დიდი საწყობი და ქალაქის სამი უბანი. უსახლკაროდ დარჩა 1000 ოჯახი. ზარალი 300,000 მანეთს უდრის. კრემენჩუგში წავიდა პოლტავის გუბერნატორი. პოლტავიდან კრემენჩუგში გაიგზავნა ცეცხლის მქრობელი რაზმის ნაწილი.

**კურსკი.** სოფელ ბოლოვოში გადაიწვა 45 გლეხის სახლ-კარი. დაიწვა წრევანდელი მოსავალი და მთელი ქონება. ზარალი 20,000 მანეთს უდრის.

**სმოლენსკი.** გუბერნატორისგან ყაჩაღების შესაპყრობად მოგილევის გუბერნიაში გაგზავნილმა საეროზო დარაჯთა რაზმმა ტყეში მოიმწყვდია ორი ყაჩაღი. სროლის დროს ბოროტგანზრახველებმა დასჭრეს 2 დარაჯი ბოროტგანზრახველებს დარაჯებმა ალყა შემოარტყეს.

**მოგილევი** (საგუბერნიო). გარდაიცვალნენ სოფელ კოლოდჯში სამ ბოროტგანზრახველისაგან დაჭრილნი მღვდელი და მისი და. ბოროტგანზრახველების დაჭერის განზრახვის დროს ტყის მცველის გარდა მოკლულია მემამულე ბელანოვიჩი და დარაჯი, დაჭრილია მეორე დარაჯი. დასჭრეს ერთი ბოროტგანზრახველი. დანარჩენებს დარაჯებმა ალყა შემოარტყეს.

**რეველი.** 9 აგვისტოს საღამოს, 8 საათზე ქალაქ რეველის თავზე შენიშნეს ჰაეროსტატი, რომელიც დასავლეთისკენ მიფრინავდა. ზოგიერთების სიტყვით, [illegible]

**ვორონეჟი.** დილით, სადგურ პრიდაჩაზე საქონლის მატარებელი დაეჯახა სამგზავრო მატარებელს. დაიმსხვრა საქონლის მატარებლის ორთქლმავალი, ლიანდაგიდან გადავარდა ამავე მატარებლის 4 ვაგონი. ამას გარდა დამსხვრეულია სამგზავრო მატარებლის მესამე კლასის ერთი ვაგონი. მძიმედ დაიჭრნენ საქონლის მატარებლის მაშინისტი და სამი მგზავრი, მსუბუქად რამდენიმე მგზავრი.

**მოსკოვი.** ღამე, სადგურ სპასკის ახლო, ექიმ შუპერსკის აგარაკში ორმა ბოროტ-განზრახველმა მოჰკლა პოდპოლკოვნიკ დეველის ქვრივი, ფონ-ანრეპი, ნათესავი. მკვლელობის მიზეზი—გაძარცვაა. ბოროტ-განზრახველებმა წაიღეს 2000 მანეთის ძვირფასი ნივთები და მიიმალნენ.

**ვარშავა.** გასულ კვირის განმავლობაში ზოგიერთმა კალატოზებმა კერძო გაფიცვა მოახდინეს, გაფიცულები 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას თხოულობენ. დღეს, 10 აგვისტოს გაიფიცნენ ყველა კალატოზები. გაფიცვა მშვიდობიანად მიმდინარეობს.

**პეტერბურგი.** 31 ივლისიდან ყირგიზებში შავი ჭირით არავინ გამხდარა ავად. 11 ივლისამდე შავი ჭირით ავად იყვნენ ყირგიზთა მინდორის მეთორმეტე აულში 24—31 ივლისამდე ავად გახდა 29 კაცი, ყველანი გარდაიცვალნენ.

**პეტერბურგი.** ფერგანის ოლქსა, ქალაქებ ჩარდჟუისა, სამარკანდსა, ტაშკენტსა და საშუალო-აზიის რკინის გზაზე, გარდა ამიერ-კასპიის ოლქის საზღვრებისა, განსაკუთრებულ წესებს მიერ ერთი წლით გაძლიერებული წესები შემოიღეს. ტურქესტანის მხარის ზოგიერთ ადგილებში გაძლიერებული წესები ერთის წლით კიდევ დასტოვეს.

**ხ ო ლ ე რ ა**

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ავად გახდა 24, გარდაიცვალა 14. ავად, არის 333 კაცი.

**მოსკოვი.** სავველოვსკის რკინის გზაზე მატარებელში აღმოაჩინეს ხოლერით ავადმყოფი. ხოლერიანი სოფელ კეპიდან წამოსულა.

**რიგა.** ავად გახდა 9, გარდაიცვალა 2 კაცი.

**ტვერი.** 2—10 აგვისტოს ავად გახდა 2 კაცი.

**იაროსლავლი.** რიბინსკში ხოლერა თან და თან ნელდება. უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 2 კაცი: იაროსლავში 8—10 აგვისტომდის ავად გახდა 11, გარდაიცვალა 8 კაცი.

# საეროზო თათბირების გამო

უველაზერი უცნაურობა ჩვენში სდე- [illegible] უმაღლესი ადმინისტრაცია ასე თუ ისე მოწადინებულია ჩვენში „ერობა“ შემოიღოს, რუსეთის ხალხის წარმომადგენლობა, სჩანს, ძალიან აღმაცერად უყურებს ამ საქმეს.

როდესაც გრ. ვორონცოვ-დაშკოვს ძალზე ჰკიცხავენ—სისასტიკით ვერ ეპყრობი კავკასიის მცხოვრებთო, და მელდერ-ზაკომელსკებით გვემუქრებიან, გვეცინება, რადგან უველას თვალ წინ გვიდგა განვლილი ოთხი ხუთი წელიწადი და კარგად ვიცით, რაც მოხდა ჩვენში. მაგრამ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს ერთი უპირატესობა მაინც აქვს, რომლის დამალვა შეუძლებელია. ეს ის, რომ იგი გაცილებით უფრო გონიერი და შეგნებული მმართველია, ვიდრე დიდი უმეტესობა რუსეთის ბიუროკრატებისა. გრაფი დარწმუნებულია (როგორც თვითონ უქვემეფრდომილეს მოხსენებაში სწერს), რომ მარტო „ცეცხლით და მახვილით“ სახელმწიფოს წარმატება არ შეიძლება და რომ განაპირა ქვეყნების წარმატება სახელმწიფოს ინტერესს შეადგენს, ხოლო ეს წარმატება დამოკიდებულია „რეფორმებზედაც“.

როგორც თვითონ გრაფი აცხადებს, მას სურს ასეთი თუ ისეთი რეფორმები შემოიღოს კავკასიაში ტფილისში ერობის საქმის გამოსარკვევად მოიწვიეს წარმომადგენელნი საზოგადოების სხვა და სხვა ელემენტისა: ჟურნალისტები, ქალაქის თვით-მმართველობის წევრნი, იურისტები, ექიმები და სხვანი. რაც უნდა დეფექტები ჰქონდეს ასეთ კრებულს, მით, რომ იგი არ შეიცავს საზოგადოების ნამდვილ წარმომადგენლობას, ეჭვს გარეშეა, რომ ახლოს მაინც არიან საზოგადოების ინტერესებზე, მათ გული შესტკივათ ადგილობრივ საქმეებზე და, გარდა ამისა, შედარებაც არ შეიძლება, რამდენად უფრო მაღლა სდგას ეს კრებული ბიუროკრატიულ კანცელიარისტთა კრებულზე.

მაგრამ კავკასიის ნამესტნიკს წინააღმდეგობას უწევენ არა მარტო პეტერბურგში, იმის აზრს ჩუმად თუ ცხადად წინ ეღობებიან ადგილობრივი მოხელენიც. ამის მაგალითად საკმარისია აიღოთ ქუთაისის ადმინისტრაციის მოქმედება იმავე საერობო საქმეში. ქუთაისის ადმინისტრაციამ ამ მძიმე და რთულის საქმის გამოსარკვევად სა- [illegible] ელემენტებიდან [illegible] კომისიაში მარტო თავ. ბ. თუმანიშვილი, ვინაიდან ქუთაისის ქალაქის თავი თავ. ლორთქიფანიძე და ფოთის ბ-ნი ნ. ნიკოლაძე ნამესტნიკის ცირკულიარის ძალით, თავის თავად ითვლებიან ამ კომისიის წევრად. შეიძლება, ბ-ნმა ნ. ნიკოლაძემ, და თავ. ლორთქიფანიძემ, ისე როგორც თავ. თუმანიშვილმა დიდი სარგებლობა მოუტანონ საქმეს თავიანთის ცოდნით და გამოცდილებით, მაგრამ, უეჭველს ეჭვს გარეშეა, რომ ესენი ხალხის წარმომადგენლობას ვერ გასწევენ (თუ გინდ იმ სახით, როგორც ეს ტფილისშია) და თითონაც ვერ ივისრებენ მთელის საზოგადოების ინტერესების წარმომადგენლობას. ქუთაისის ადმინისტრაციის ამგვარ მოქმედებას ის შედეგი მოჰყვება, რომ კანონ-პროექტი ვერ მოიპოვებს საზოგადოების უმეტესობის თანაგრძნობას და საზოგადოების ?ვერ წარმომადგენელთა სასარგებლო შენიშვნებს მოკლებული იქნება, მე მგონია, თუ ქუთაისის ადმინისტრაცია ამაში ნამესნიკის აზრსაც კი არ ეჭვება. თვით საზოგადო მოწვეულ წევრებს უნდა ჩაუგონებინათ მათთვის, რომ ამგვარ პოლიტიკას ადმინისტრაციისას თვით საქმისთვის მოაქვს ზარალი, კავკასიის უმაღლესის ადმინისტრაციის აზრს ამახინჯებს, ხოლო თვით მათ მეტად უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. არა მგონია ისეთი სულელი იყოს ვინმე, რომ დიდ პატივად მიიჩნიოს დღევანდელ პირობებში ამ კომისიაში მონაწილეობის მიღება, მაგრამ სხვა რამეა პირადი განწყობილება და სხვა რამეა საქმის ინტერესი.

**იმერელი ამომრჩეველი.**

# ახალი ამბავი

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

✦ **საქმე ილია ჭავჭავაძის მოკვლის შესახებ.** კავკ. საოლქო სასამართლომ 10 აგვისტოს მეორედ განიხილა საქმე ილია ჭავჭავაძის მოკვლის შესახებ. საქმის ვითარება თავის დროზე დაწვრილებით გავაცანით ჩვენ მკითხველებს. პირველ განხილვის დროს სასამართლომ დამნაშავედ იცნო ლაბაური, ხიზანაშვილი და მაზმანაშვილი და გადაუწყვიტა მათ სიკვდილით დასჯა. ბრალდებულებმა სასამართლოს განაჩენი განასაჩივრეს მთავარ სამხედრო სასამართლოში, რომელმაც გააუქმა განაჩენი და საქმის გარჩევა ხელ-მეორედ დაავალა სასამართლოს. ხელ ახლა საქმის განხილვის მიზეზად მთავარმა სამხედრო სასამართლომ ის აღიარა, რომ ბრალდებულნი სამართალში იმან არ მისცა, ვისაც უნდა მიეცა [illegible] ჭავჭავაძის მკვლელნი სამართალში მისცა კავკასიის ჯარის უფროსმა, ხოლო კანონით უნდა მიეცა ტფ. გენერალ-გუბერნატორს. პოლიცია პირველად საქმის გარჩევის შემდეგაც ეძებდა ამ ბოროტ-მოქმედებაში მონაწილე სხვა ბრალდებულთ და შარშან ტფილისის მახლობლად შეიპყრო საგურამოს მამასახლისად ნამყოფი ივ. ინაშვილი. ამავე ხანებში ტფილისის მაზრის ერთს სოფელში პოლიციამ, შეპყრობის დროს, მოჰკლა მეორე ბრალდებული პავლე ფშავლიშვილი. 10 აგვისტოს ოლქის სასამართლომ ინაშვილის საქმე შეუერთა დანარჩენ ბრალდებულთა საქმეს და შეუდგა საქმის განხილვას. (მაზმანაშვილი, რომელსაც სიკვდილი ჰქონდა გადაწყვეტილი, უკვე გარდაიცვალა ციხეში). სასამართლოში ბრალდებულებმა თავი დამნაშავედ არ იცნეს. ინაშვილმა, სხვათა შორის, სთქვა, რომ მე პოლიციას არ ვემალებოდი, სამუშაოდ ვიყავი სხვა და სხვა ადგილასაო. განაჩენი იმავე დღეს გამოაცხადეს. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ბრალდებულნი ი. ინაშვილი, ხიზანაშვილი და ლაბაური და სამივეს სიკვდილი გადაუწყვიტა.

✦ **სასჯელის შეცვლა.** როგორც ვწერდით, კავკასიის სამხედრო სასამართლომ ამაღლობელსა, ფილიასა, ქვლივიძესა, ქვათაძესა, შ. ლამბერიასა, გელოვანსა, ნათაძესა და სხვებს გადაუწყვიტა 4 წლით კატორღა. განაჩენი წარედგინა კავკასიის ნამესტნიკს, რომელმაც ყველას სასჯელი შეუცვალა. ვისაც კატორღა ჰქონდა გადაწყვეტილი, მოეჯაჯა სამუდამოდ ციმბირი, ვისაც 2 წლით საპყრობილე—ორი თვით დაპატიმრება.

✦ **სტიპენდიები.** როგორც ვწერდით, ზუბალაშვილის სახელობის ორი სტიპენდია განთავისუფლდა წელს, ამ სტიპენდიების მისაღებად 200 კაცზე მეტმა შეიტანა თხოვნა წერა-კითხვის საზოგადოების მთავარ გამგეობაში. თხოვნებს გამგეობა აგვისტოს შუა რიცხვებში განიხილავს.

✦ **ყუმბარა ნავთში.** ბაქოში 9 აგვისტოს რილსკის ნავთის დიდ ქვაბში, რომელშიაც 200,000 ფუ-

# ეტიუდები ქართულ ლიტერატურიდან

**ა. ყაზბეგი (ა. მოჩხუბარიძე).**

(შემდეგი *)

II

ამ საუცხოვო დეკორაციაში იშლება თავზარდამცემი ტრაგედია ცხოვრებისა. ყაზბეგის მოთხრობები („ელგუჯა“, „მამის-მკვლელი“, „მოძღვარი“, „ციცია“ და „ელისო“) ერთს საგანს ღასტრიალებენ თავს: რა გავლენა იქონია მთიელთა ცხოვრებაზე, რა ცვლილება მოახდინა მთიელთა ფსიხიკაში, რანაირად დაამსხვრია და გაანადგურა მთიელთა ზნე-ჩვეულებანი მთაში ახალის ბარბაროსულის ძალის შესევამ და დამკვიდრებამ. ამგვარად, ყაზბეგის მოთხრობები **სოციოლოგიურის** ტიპისანი არიან, ვინაიდან ამ მოთხრობებში ავტორი იკვლევს საზოგადოებრივ მოვლენებს, მათ ღრმა ცვლილებას კვალდაკვალ მისდევს. მაგრამ ყაზბეგი ამითი როდი კმაყოფილდება, ის მთიელთა გულსა და სულსაც გადმოგვიშლის და დაგვანახვებს, რა მოძრაობას იწვევს გარეგანი ბრძოლა მით სულიერ განწყობილებაში. მაშასადამე, მისი მოთხრობები **ფსიხოლოგიურ**[1]) რომანის როლსაც კისრულობენ. ჩვენ ვნახავთ, რომ მისი სოციალური მანერა ეგ. ნინოშვილმა შეითვისა, ხოლო ფსიხოლოგიური შ. არაგვისპირელმა და მისმა სკოლამ (ან. დეკანოზიშვილი, ივ. ზურაბიშვილი, ია ეკალაძე და სხვ.). ფსიხოლოგიურ რომანში კი ყაზბეგმა შესძლო ისეთის მძიმე ტვირთის მსუბუქად აწევა, როგორც ხალხის, ჯგუფის, ბრბოის ფსიხოლოგიაა და საუცხოვო ხელოვნებით შეასრულა იგი („ელისო“, „ციკო“ და სხვ.).

მისი გმირები, მთის შვილნი არიან, მთის მდიდარის, მომხიბვლელის ბუნების მიერ აღზრდილნი. მთამ შთაუნერგა მათ სულში დაუშრეტელი წყურვილი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა. მთამ განუვითარა მათ ყოველივე გრძნობა ადამიანისა და ჯანსაღის მხეცისა უმწვერვალესობამდე. გრძნობა **სიყვარულისა** მოხევეს სულში თვის ფატალურსა და უძლეველს სახეს ღებულობს, როგორც ეს თვით ბუნებაშია. ამით გატაცებული არსება ივიწყებს ყოველივეს და თავგანწირული სავსებით ეძლევა ძლიერს გრძნობას. აქ ვნებათა-ღელვა ისეთის ძლევამოსილობით არის აღჭურვილი, ისეთ საფეხურზე ადის, რომელზედაც აღწევა არა ყველას შეუძლიან.

ნახეთ რა უეცრად, ვით ცეცხლი ფიჩხს, მოედება ეს გრძნობა ქალსა და ვაჟს. დამერწმუნეთ, ძლიერება ამ გრძნობისა, მისი გამოუცნობლობა, მისი სიღრმე იმაში მდგომარეობს, რომ იგი იბადება პირველსავე წუთში პირველ შეხვედრისთანავე, როდესაც უხილავი სხივი უცნაურის ძალისა ჩააშუქებს მეორე არსების გულის სიღრმეში, გაიკეთებს იქ ბუდეს და გააჩენს იქ უკვდავ ნასახს დიადის სურვისას. გადაათვალიერეთ, აბა, „ელგუჯა“. მზალო ჩერქეზის ქალი ტყვედ მიჰყავს გასასყიდლად ოსს ძლიერ მოხევე გაგისთან. გაგიმ თავისი ძალა ხალხის ღალატით შეიძინა. მან ხალხის მტერს მისცა მხარი, „ახალი ძალის“ უპირატესობა იგრძნო, „დაინახა თავისი მდგომარეობა“, დაინახა საითკენ უფრო სასარგებლო იყო იმისთვის და გადადგა რუსებისაკენ, „რომლისთვისაც მისცეს აფიცრობა.“ ელგუჯა ყარაულად არის და მიჰყვება ოსს გაგის სახლამდი. ელგუჯასა და მზალოს პირველ დანახვისათანავე ერთმანეთი შეუყვარდებათ. ელგუჯა მზალოს გაიტაცებს. გაგი მდევრებით გზაში დაეწევა და ელგუჯას სასიკვდილოდ დასჭრის, თვითონ გაგი კლდეზე გადაიჩეხება, ხოლო მზალოს კი „ნაჩალნიკი“ გააუპატიურებს, ძალით ნამუსს ახდის. ელგუჯა ამ ხანაში სიკვდილს გადარჩება, სტუმართ-მოყვარე მეზობლების წყალობით. გაგის მემკვიდრე სვიმონ ჩოფიკაშვილი, სულ სხვა ჯურის კაცი იყო, უფრო ზომიერი, რომელსაც „გული კიდევ მოისათვის და თავისუფლებისათვის უცემდა“ მაგრამ „ძალა აღმართსა ხნავსო“, იცოდა და ამ ძალის გულ დათუთქული ემორჩილებოდა. ამ სვიმონას გაგის სხვა სამკვიდროსთან ერთად მზალოც დარჩა და მისის თანხმობით მზალო ელგუჯამ გაიტაცა და მშვიდობითა და ბედნიერად სცხოვრობდნენ, თუ ერთ დღეს ელგუჯასას ყაზახი რუსები არ შესცვივნულიყვნენ და არ მოესპოთ მისთვის სიცოცხლე.

საკმარისია მარტო ეს მოთხრობა გავითვალისწინოთ, თავიდან ბოლომდე დაუკვირდეთ, რომ მთლად ერთიანად გავიცნოთ ყაზბეგის გულის-ნადები, მისი ბუნების-ფილოსოფია, მისი აზრი სიყვარულსა და მეგობრობაზე, მისი საზოგადოებრივი დაკვირვება და ფსიხოლოგიური ნიჭი. ყველა შემდეგი მოთხრობა ასეთივეა: ზოგი უკეთესი, ზოგი კიდევ უფრო მდარე ნახატია იმავე აზრისა და გრძნობისა ამით ერთფეროვნებას კი არა ვწამებთ ყაზბეგს, პირ-იქით, იგი ერთფეროვანი არას დროს არ არის,[2]) მხოლოდ მასა აქვს, როგორც ყოველ შემოქმედს თავის შემოქმედების სისტემა და ამ სისტემას ათასგვარ სურათით შემკულს, ათასის მხრით გვაჩვენებს მომჯადოებელი ძალა მხატვრისა. აი **სიყვარული** მოხევეთა—ე. ი. ყაზბეგის სიყვარული:

ელგუჯამ მიიყვანა ქალი „საწოლში“ (გაგის ბრძანებით იქ სადაც სხვა ტყვე ქალებიც იწვნენ). აუნთო ჩირაღი და რა შეჰხედა ქალსა, გაშტერებული დარჩა. იმის თვალს წარმოუდგა ისეთი მშვენიერი მიმზიდავი თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ქალი, **რომელმაც მოულოდნელად გული აუცახცახა და ძარღვებში სისხლი აუდუღა.** რასა ჰშვრებოდა, სად იყო—იმას სრულებით გარდაავიწყდა. ის შეეპყრო მარტო ერთს სურვილს, რომ ასე განუწყვეტლივ ეყურებინა ამ ქალის მშვენიერებისათვის და დამტკბარიყო იმ გრძნობით, რომელსაც პირველად გაეღვიძა იმის გულში.

ელგუჯას გრძნობის ძალა ელექტრონის სისწრაფით გადაეცემა მზალოს, იქ შეუერთდება თავისსავე მსგავსს ძალას და მათ გულში გაჩაღდება დიდებული ჩირაღდანი მსოფლიოს განმაცისკროვნებელისა და მასაზრდოებელის უმშვენიერესის გრძნობისა. როცა ელგუჯა გონს მოვიდა, წასვლა დააპირა. ხოლო კარებთან რომ მოვიდა, ერთი კიდევ მოიხედა, დაინახა, რომ **ქალის თვალები ელგუჯასკენ არის მოქცეული და ისეთის სახ(ი)თ უყურებენ თითქოს ამათაც უგრძვნიათ ელგუჯას გულის მოძრაობა და ისინიც თანაუგრძნობენ, მადლობას ეუბნებიან.**

ელგუჯა მთიელია, მკვარცხლი და შთაბეჭდილების იმავე წუთში განმახორციელებელი; მან ეჭვები არ იცის, არც გრძნობის ანალიზები და ჩხირკედელაობა. მისთვის გრძნობა—გრძნობაა ძლიერი და შეურყეველი ძალა, რომლის მონობას იგი სიამოვნებით ასრულებს, ვით საუკეთესოსა და უდიდეს სანეტარო მონობას.

ელგუჯამ ვეღარ მოითმინა, **გადახტა და გულში ჩაიკრა ქალი.** რომელიც **შეშინებული და აღელვებული, რაღაც გამოუცდელის გრძნობისაგან დამონებული,** ძალზედ ეკვროდა მკერდზედ. ამ წუთში გამოიხატებოდა წადილი, შიში, სიყვარული, ბრძოლა აღძრულ გრძნობასთან. მაგრამ იმათგან ვერც ერთი კი ვერ გეტყოდათ რა მოსდით, რასა ჰშვრებიან, ან ასე რად იქცევიან და სხვა რიგად არა?[3]).

დიახ, და სწორედ იმიტომ, რომ მთელის თავისს არსებით შეგნებული აქვთ სიტკბო და სიწმინდე ამ გრძნობისა, იგინი უსიტყვოდ, ყოველივე წინააღმდეგობის გარეშე თავს იხრიან ამ ძალის წინაშე და სრულს ნებას აძლევენ ისე მოიხმარონ მათი სხეული და სული, როგორც ნებავს ამ უძლეველს ძალას. ამის შემდეგ ელგუჯას სიცოცხლე იმისთვისა აქვს შეწირული, რომ რაიმე ნაირად მზალოს საუკუნოდ შეუერთდეს, საუკუნოდ შეუკავშიროს მისი გრძნობები. როგორც ჰხედავთ, აქ ყაზბეგს სავსებითა აქვს გამოხატული ხორციელი მხარე სიყვარულისა, მისი ფიზიოლოგიური თვისება. მას სრულიადაც არ აშინებს ამგვარი დასურათება სიყვარულისა, რადგან იგია ქვაკუთხედი, იგია შინაარსი ყოველივე ტრფობის გრძნობისა. თექვსმეტის წლის ქალის დანახვამ ახალგაზდა ვაჟს „მოულოდნელად გული აუცახცახა და ძარღვებში სისხლი აუთამაშა“. აჰა სრული ანალიზი სიყვარულის ხორციელებისა. მაგრამ ეს არც მის სიწმინდეს ჰპლალავს და არც მის მშვენიერებას ასახიჩრებს. ელგუჯა ამგვარად გატაცებული, მაინც საუცხოო და საოცნებო მიჯნურია, იგი გრძნობს და იცის რომანტიული, იდეალური მხარე სიყვარულისა. მზალოს მოშორებული, ძმად ნაფიცს მათიას გაუგზავნის თავისის ამბავის შესატყობლად და ის ფიქრი, რომ „მზალოს მისწვდებოდა იმის სიტყვები, ის გაიგონებდა და **თავის ტუჩებით წარმოსთქვამდა ელგუჯას სახელს!**—ნეტარებით ავსებდა მის არსებას „განა მეტი ბედნიერება იქმნებოდა შეყვარებულისათვისო“? მაგრამ იგი მაინც სისხლითა და ხორცით მრთელია, მისი აზრი და გონება ყოველივე სალს შეითვისებს, ამიტომაც ოცნებას განყენებულს იმდენ ადგილს აძლევს, რაიც გრძნობას ძალას უმატებს, კი არ ამშრალებს მას ან და კი არ ასუსტებს. ამიტომაც იგი იდეალურ სურვილს მაშინვე ხორციელ სახეს მისცემს.

იმ წუთებში ის ისე გატაცებული იყო ამ ფიქრებით, რომ მზალოს მშვენიერი სახე, ნაზი ტანი, ჟუჟუნა თვალები ეხატებოდა გონებაში და ისიც შესცქეროდა, შესცქეროდა გატაცებით, გაუმაძღრად, წარმოდგენილს სურათს; **ჰკოცნიდა,** და **ჰკოცნიდა იმას და ბოლოს** აღარა ჰქონდა ციურს სიამოვნებას.

ეს ვაჟბატონები—ციურ სიამოვნებასაც კი მარტო ხორციელების შემწეობით გრძნობენ, რაიცა სრუ-

*) იხ. „დროება“, N 161.

1) ფსიხოლოგიურის მიმართულების შემოტანას ჩვენს ლიტერატურაში ხელი შეუწყო ილია ჭავჭავაძის „განდეგილმაც“, რომელიც ხწორედ იმავე ხანებში დაიწერა (1883), როდესაც ყაზბეგის საუკეთესო მოთხრობები დაიწერა „ელგუჯა“—1881 წ., „მამის-მკვლელი“—1882 წ., „ციცია“—1883 წ., „მოძღვარი“—1885 წ.

2) ამის შესახებ დაწვრილებით იხილე ხანის წერილები „ივერიის“ 1891 წლ. ნოემბერში

3) „ელგუჯა“, გვ. 13 და 14.

თამდე ნავთი ყოფილა, ვიღაც ბოროტ-განმზრახველებს პატრუქიანი დიდი ყუმბარა გადუგდიათ. ყუმბარა საშინელის ხმით გამსკდარა და ნამტვრევებს ქვაბის გვერდი დაუგლეჯია. ქვაბიდან თუმცა ნავთს გადაუხეთქია, მაგრამ ცეცხლი არ გაჩენილა. არც არავინ დაშავებულა. ბოროტ-განმზრახველებს მოუსწრიათ დამალვა. ფიქრობენ, რომ ეს საქმე რილსკის შვილის გამტაცებლებმა ჩაიდინეს.

**სახალხო უნივერსიტეტი.** 10 აგვისტოს მოხდა ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის სხდომა. ყოველი სხდომა გამგეობისა იმით იწყება, თუ სად იშოვნოს ფული, რომ საზოგადოების საქმეები რიგიანად აწარმოვოს. ამ სხდომაზედაც გამგეობამ ამაზე იქონია თათბირი. საზოგადოების გასალონიერებლად გამგეობამ ვერავითარი ხახსარი ვერ გამოსძებნა და დაადგინა, ბორჯომსა და მანგლისში სახალხო სეირნობა გამართოს. ბორჯომში სეირნობის გამართვას აპირებენ 15 აგვისტოს. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა ლექციების კითხვას განაახლებს 29 აგვისტოდან.

**უპასპორტოები.** ჩუღურეთში ჩხრეკის დროს 24 უპასპორტო კაცი დაიპატიმრეს.

**სეირნობის შემოსავალი.** 30 ივლისს ბორჯომში მასწავლებლის ალ. ხუციშვილის და ქ-ნ კლდიაშვილის მეთაურობით გაიმართა სახალხო სეირნობა. წმინდა შემოსავალი, 350 მან, გუშინ მიიღო წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ.

**ტუსაღის გაქცევა.** 10 აგვისტოს ერთ პოლიციელს 1 განყოფილების გამომძიებლის დავალებით მიჰყავდა მეტეხის ციხიდან დიღომის მცხოვრები პეტრე ვერულაშვილი, რომელსაც ჰბრალდება ვერის ნიკოლოზის ეკლესიის გაძარცვა. ვორონცოვის ქუჩის კუთხეში ვერულაშვილმა პოლიციელს სთხოვა, გაეშო იგი საჭიროების ადგილზე. პატიმარი ჩასულა ერთ სარდაფში, იქიდან მეორე კარებით ქუჩაში გასულა და მიმალულა. პოლიციელი ამის გამო პახუხის გებაში მისცეს.

**მასალისთვის.** ტფ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, გადასდოს 200 მან. და აგრეთვე დაუთმოს ერთი ოთახი ერობის შესახებ სექციებისათვის მასალის მომპოვებელ ბიუროს. გამგეობას ეცნობა ისიც, რომ გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალმა ბიუროსავე ხარჯისათვის გადასდო 200 მ.ნ. გამგეობამ ამასთან დაადგინა, 4 თვის განმავლობაში გასწიოს ხარჯი აღნიშნულ საქმისათვის.

10 აგვისტოს დააპატიმრეს ნესტორ შაშავა, ასლან არზია და ფილიპე ბესელია, რომელთაც ქურდობა და შანტაჟისტობა ჰბრალდებათ.

9 აგვისტოს პოლიციამ დააპატიმრა ვლადიმერ თორთაშვილი, რომელიც საგუბერნიო - გუბერნატორიდან გადასახლების შემდეგ ტფილისში თავის ნებით დაბრუნებულა.

# მოწერილი ამბები

**დ. ყვირილა.** 26 ივლისს მოხდა მეორედ გადადებული (რადგან 12 ივლისს არ შესდგა წევრთა დაუსწრებლობისა გამო, საზოგადო კრება ყვირილის განყოფილების წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა. კრება გახსნა ადგილობრივ კლუბის დარბაზში გამგეობის თავმჯდომარის მაგიერმა მღ. კ. ანთაძემ. განსახილველი იყო შემდეგი საგნები: 1. წლიურ საზოგადო კრების ვადის განსაზღვრა; 2. გეგმა გამგეობის მოქმედებისა; 3. მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა; 4. ახალ წევრთა მიღება და 5. არჩევნები: ა) გამგეობის თავმჯდომარისა, ბ) გამგეობის წევრთა და მათ კანდიდატთა, გ) სარევიზიო კომისიისა და ბიბლიოთეკისა. საზოგადო კრების წლიურ ვადად მიღებული იქმნა აპრილი; ახალი წევრები, გარდა დამფუძნებლებისა, ერთხმად მიღებულ იქმნენ. დამტკიცდა აგრეთვე გამგეობის მიერ შედგენილი შემოსავალ-გასავლის (1909 წლის) ხარჯთ-აღრიცხვა. სხვათა შორის მოსალოდნელ შემოსავლის წყაროდ მიჩნეულ იქმნა 150 მანეთი, ამოსაგები სხვა და სხვა პირისაგან, საზოგადო ფული, განყოფილების სასარგებლოდ გადაცემული. კრებამ დაადგინა: უკვე თუ ნებაყოფლობით არ გადაეცემა ეს ფული გამგეობას, მიმართოს სამედიატორო სამართალს. გარდა ამისა, კრებაზე დამსწრე ვაჭარ-წევრთა თანხმობით, გადაწყდა წლიწადში რამდენიმე პროცენტი ერთს დღეს ნავაჭრისა გადასდონ განყოფილების სასარგებლოდ.

აპრილიდან დღემდე გამგეობის მოღვაწეობა გამოიხატა სამკითხველო-წიგნთ-საცავის გახსნაში. განზრახვაა დაარსდეს საკვირაო სკოლა, გაიმართოს სადამო და ადგერი საზოგადოების გასალონიერებლად, მოეწყოს სახალხო საკითხვები.

იმავე დღეს საზოგადოებამ ერთხმად აირჩია თავმჯდომარედ, ნაცვლად ბ-ნ რ. დვალისა, რომელმაც თავი დაანება თანამდებობას, კნ. ბ. ხმ. წერეთლისა.

კრების გაგრძელება გადაიდო 2 აგვისტოსთვის. ასარჩევნი იყვნენ თანამდებობის პირნი. გამგეობის წევრებად კენჭის ყრით ხმის უმეტესობით აირჩიეს: მ. გახოკიძე და ნ. მესხი, ხოლო კანდიდატებად ტ. ნიორაძე, ა. წერეთელი და ა. აბაშიძე; სარევიზიო კომისიის წევრებად—გ. ხხეიძე, ბ. გახოკიძე და ს. ორჯონიკიძე. ბიბლიოთეკარის ჯამაგირი თვიურად გადაწყდა რვა მან. მისი არჩევა კი გამგეობას მიენდო.

ერთი წევრთაგანი.

---

**ფასანაური** (მთიულეთი). როგორც სხვაგან, მთიულეთშიაც დიდი გვალვა იყო. ყანები და ბაღახი მთაში სულ ერთიანად გადახმა. გავიდა ხალხი სამუშაოდ, გაიჭრა ყანები, მაგრამ ვაი იმ გაჭრას: თითო-თითოდ უნდება ნამგალს თავთავის შეკრება. ბევრნი ცელით სთიბვენ ყანას. მხოლოდ ამ ბოლო დროს დაიჭირა წვიმები. ისე დღე არ გავიდის, რომ წვიმა და მცირე სეტყვაც არ მოვიდეს. ამან სულ ჩაალპო ახლად გათიბული თივა. მენი მტერი, თუ შემდეგში მაინც კაი დარები არ დაიჭირა.

ერთი თვე იქნება, რაც აქ მძვინვარებს საქონლის ჭირი. ჭირი მოდებული აქვს ყოველ სოფელს. ისე სოფელი არ არის, რომ კვირაში 4-5 ძროხა არ მოკვდეს, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. პირველად მოვიდა დუშეთის მაზრის ბეითალი, ხელი ჩაიქნია და წავიდა. ეს იყო და ეს. არც დარიგება, არც წამალი და სხვა რამ.

ავტომობილის მიმოსვლამაც სათვალჭირებელში ჩააგდო აქაური გლეხ-კაცობა. შიშით, ვაი თუ ავტომობილი შემხვდეს, ცხენი დამიფრთხეს და ჩემი ქირა არაგვს ან თერგს მისცესო, ქირაზე ვერ წასულა. მართლაც და, ზოგიერთ შოფერის დაუდევრობას საზღვარი არა აქვს. ამათის დაუდევრობის მსხვერპლი შეიქნა ივლისის 29-ს ფასანაურს და ანანურს შუა ერთი მეურმე. ავტომობილმა თავის მოახლოება არაფრით არ შეატყობინა მეზვარს და უცბად წაადგა თავს. ცხენი შეკრთა და ურმიანად გადავარდა ხევში. ურემი სულ დაიმტვრა, მეურმეც ძალზე დაშავდა. ამისთანა ამბავი ხშირია ჩვენში, მაგრამ, ვინ არის პატრონი!

ოდესღაც ფასანაურში ბიბლიოთეკა გვქონდა. იგი დაარსა ინჟინერმა ნიკოდინმა. მისისავე წყალობით ბიბლიოთეკამ ბლომად წიგნები შეიძინა, როგორც ქართული, ისე რუსული. მოდიოდა გაზეთები ტფილისიდან. ხალხიც საკმაოდ დადიოდა ხოლმე და კითხულობდა. ვინც კითხვა არ იცოდა, იმათ თვით ბიბლიოთეკარი უკითხავდა. მაგრამ ჩვენთვის გაუგებარ მიზეზებისა გამო, ბიბლიოთეკა დაიკეტა რევოლიუციის დღეებში, თუმცა აქეთ სრული სიმშვიდე იყო. ნიკოდინი გადაიყვანეს და ამ აქობამდის ჩვენი ბიბლიოთეკა დახშულია. აქაური ინტელიგენცია იმდენად ცრუა ყოველ კეთილ საქმისადმი, რომ ჯერ კრინტიც არ დაუძრავს ბიბლიოთეკის შესახებ. მიზეზიც კი ვერ გაუგიათ ჯერ ხეირიანად.

პ. ვეფხვი.

---

**ქ. თელავი.** დიდი ხნის სურვილის შემდეგ, როგორც იყო, გაიხსნა თელავში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილება. 2 აგვისტოს კლუბის დარბაზში მოხდა განყოფილების წევრთა კრება, რომელიც გახსნა განყ. გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგმა გ. ბ. კახიძემ და აუწყა შეკრებილთ ნებართვის მიღება. ამ დღეს უნდა აერჩიათ გამგეობის (წინად. არჩეულ 3 მწევრის გარდა) დამატებითი წევრები. ვიდრე არჩევნებს შეუდგებოდნენ, უნდა განესაზღვრათ გამგეობის წევრთა რიცხვი. კრებამ თითქმის ერთხმად გადასწყვიტა, გამგეობა 7 კაცისაგან ამოერჩიათ. ბარათებით კანდიდატებად დაასახელეს 11 კაცი, რომელთაგანაც დახურულის კენჭის ყრით აირჩიეს ოთხი: კნ. თამარ ალ. აბაშიძისა, კნ. ქეთევან ივ. რუსიშვილისა, თავ. ალექსანდრე რ. ჯავახიშვილი და ივანე პაატაშვილი. შემდეგ აირჩიეს სარევიზიო კომისიის წევრები: ქ-ნი ე. შიუკაშვილისა, ვ. და ალ. ბარნოვები, ნ. მარჯანიშვილი და ნ. დუდუშაური.

ამავე კრებაზე უნდა მოელაპარაკნათ განყოფილების მომავალ სამოქმედო გეგმაზე, მაგრამ დროის უქონლობისა გამო შემდეგისთვის გადასდეს.

თელავში ბევრი საქმე დაწყებულა, ყველაზე მეტი მნიშვნელობა ამ საზოგადოების განყოფილებას ექნება. კახეთი სწავლა-განათლებით ძალიან არის ჩამორჩენილი. მთელ შიგნით კახეთში, 70-80 ათას მცხოვრებიან რაიონში, არც ერთი წ.-კ. საზოგადოების სკოლა არ არსებობს (სამრევლო და სამინისტროს სკოლებიც აქა იქ ბჟუტავს), თვით ილიას ჭავჭავაძის სოფელ ყვარელში და რაფიელ ერისთავის სამშობლო ქისტაურშიაც-კი. ილიას სახლი, სადაც იგი დაიბადა და აღიზარდა, საჯარო ვაჭრობაში იყო ჩადებული და ბანკს დარჩა, დღეს-ხვალ-კი, ვინ იცის, ვინ შეისყიდის. განყოფილებამ უპირველეს ყოვლისა ეს და აგრეთვე რაფიელის სახლი ს. ქისტაურში უნდა შეიძინოს და შემდეგში, როცა გარემოება ხელს შეუწყობს, გახსნას სკოლები.

სრული იმედია, რომ გამგეობის წევრნი მხურვალედ მოეკიდებიან საქმეს და პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, ხოლო თელავის და მასთან კახეთის საზოგადოება არ დაიშურებს თავის წვლილს როგორც განყოფილებაში წევრებად ჩაწერვით, ისე ნივთიერად დახმარებით და ეცდება ხელი შეუწყოს საზოგადოებას და მის ნაყოფიერ მოქმედებას.

დავიწყებული.

# პატარა ფელეტონი

## ოქტომბრისტები

ვ. დოროშევიჩისა.

ოქტომბრისტები, ეს 17 ოქტომბრის საფლავზე ამართული ძეგლია, ფიქრობს უმრავლესობა.

ბევრს ეჭვიც ებადება—არსებობს-კი ნამდვილად ეს პარტია?

რა არის ოქტომბრისტი?

— უკიდურესი გაიძვერობაა ჩვენის საუკუნისა—ამბობენ ერთნი.—გუჩკოვი მართლაც არსებობს, მაგრამ ოქტომბრისტთა პარტია—გაათკეცებული ქ-ნი ემბერია:

— ოქტომბრისტები — გუჩკოვის ავადმყოფობაა—ფიქრობენ მეორენი,—მისი ბოდვა, განდიდების სურვილი. გუჩკოვმა „პარტიად" თავისი თავი წარმოიდგინა. როგორც მეფენი, გუჩკოვიც თავისთვის ჩუმად ბუტბუტებს ხოლმე: „ჩვენ".

დასასრულ, მესამეთა აზრით:

— ოქტომბრისტები — მთავრობის ილლიუზიაა, მისი ოცნება. მთავრობას „უნდა იფიქროს", რომ ჩვენში შესაძლებელია ნებადართული „კონსტიტუციონალური" პარტია და სიამოვნებით [illegible] ად".

რას წ[illegible] ბი?

— გუჩკოვის ოცნებას, ნება დართულს სტოლიპინის მიერ.

ხომ არ წააგავან ოქტომბრისტები იმ დაწესებულებას, რომელიც უკვე გაკოტრდა, მაგრამ სავაჭრო განცხადება კიდევ აკრულია დუქნის კარებზე? ჯერ კიდევ ლამაზად გამოიყურება მოოქრული ასოები: „სამანუფაქტურო სავაჭრო ა. ი. გუჩკოვისა და ამხ." არის კანტორა, მოწყობილობა, ნოქრები, სქელი დავთრები, რომლებშიაც ვითომდა რაღაცას სწერენ —ანგარიშობენ... მაგრამ ქარხანა უკვე გაცივებულა და, გარდა გაუსტუმრებელ თამასუქებისა იქ აღარა მოიპოვება რა. არის ლიდერი, არის ფრაქცია,—მაგრამ არსად არის „პარტია", არიან მხოლოდ გაუსტუმრებელი, ვადა გასული თამასუქები...

მართლაც რომ საჭირო იყო ოქტომბრისტებისათვის „თვითგამორკვევა", მაგრამ ამისი მათ ისევე ეშინიანთ, როგორც მძიმე ავადმყოფს ექიმების მოწვევისა—უცბად რომ ამოიკითხოს მან ექიმების თვალებში:

— საჭიროა მღვდელს დაუძახოთ!

ოქტომბრისტებს კრების მოწვევა ერთი დღიდან მეორე დღისათვის გადააქვთ. უკანასკნელის ცნობით უნდა შეკრებილიყვნენ „სახელწოდების დღის" ერთი დღის წინათ, ე. ი. 9 ოქტომბერს.

მაგრამ, სულ უკანასკნელის ცნობებით, თურმე 9 ოქტომბერსაც არ შეიკრიბებიან.

გულკეთილმა „რუს. სლ." მოინდომა, ავადმყოფისათვის (რომელსაც თვითონ ვერ გაუბედნია) მტკივანი კბილი ამოეძრო, და თავის კორესპონდენტების საშუალებით თითქმის ყველა ქალაქში ოქტომბრისტების შესახებ ცნობები შეჰკრიბა.

მერე რა შედეგი მოჰყვა ამ შრომას?

ბევრ ადგილას კორესპონდენტებს ოქტომბრისტების ხსენებაზე გაოცებით დაუწყეს ცქერა, თითქოს მიცვალებულთა სულზე ეკითხებოდნენ.

ზოგგან ოქტომბრისტის ჭაჭანებაც არ იყო.

ზოგან აქა-იქა გადაგვარებულ ნადირივით გამოერეოდნენ ხოლმე. ერთგან ოქტომბრისტები იმუქრებოდნენ:

— რევოლიუციონერებს გადავაქარბებთო!

მეორეგან თავისთავს მემარჯვენეებად აცხადებდნენ და გუჩკოვს რევოლიუციონერობასა სწამებდნენ.

ხოლო ყველა ნაპოვნი ოქტომბრისტი ერთ საკითხში, სახელდობრ:

---

ლიად კანონიერია, ნამდვილი და ყაზბეგის პოეტურ გამჭრიახობის დიადობას გვიჩვენებს.

ახლა შეხედეთ, რომანტიკოს პოეტებს, ჩვენს მოხევებს, კაცი იფიქრებს ჟორჟ-სანდია, გინდ მიუსსე, გინდ ლამარტინი, ისეთს ნაზ გრძნობიერებას იჩენენ ყოველივე სურვილის გამოხაზულებაში.

ერთს მთვარიან საღამოს, მზალო გამოსულიყო და იქვე სახლთან მდგომს წიფლის ხესთან თავის ფიქრებს ეძლეოდა. მშვენიერი ბუნება კაცის გრძნობას უალერსებდა რაღაც გულ-დამამშვიდებელის ძალით. ზაფხულის სითბო შეიცვლებოდა მსუბუქას ნიავით, რომელიც ნაზად გაურბენდა ფურცლებს და სასიამოვნო შრიალს ასტეხდა. აქა-იქ მოფენილი ყვავილები დამატკბობელს სურნელებას გამოსცემდნენ, აძლევდნენ ქარსა და ისიც ჰფენდა ყოველ ალაგას. ახლო-მახლო წყარო ჩამოჩხრიალებდა და თითქო ნანას ეუბნებოდა დაძინებულს ბუნებას **მზალო იდგა და შესულიყო რაღაც უგრძნობელ მომხიბვლელ მდგომარეობაში**[4]).

მაგრამ ეს კიდევ რა არის? სიყვარულის ფატალური, გამოურკვეველი და მიუწდომელი ძალაც სავსებით გვაგრძნობია ყაზბეგმა. მართლაც, არის სამი მოვლენა კაცის ცხოვრებაში, რომლის ძალა უსაზღვროა, რომლის კანონები გამოუცნობელია, რომლის მიმდინარეობა წარმოებს გარეშე ადამიანის ყოველივე ლოგიკისა. ეს არის სიყვარული (დასაბამი სიცოცხლისა), თვით სიცოცხლე და სიკვდილი (დასასრული სიცოცხლისა). კაცი, რომელსაც ეწვევა რომელიმე ეს უცნაური სტუმარი, სრული მისი მონა ხდება და მისი გონება, მისი წარმოდგენა, მისი აზრი, მისი შეხედულება ვერაფერს გააწყობს მის წინაშე. ხშირად გვიყვარს, თუმცა მთელი ჩვენი ზნეობრივი ან ინტელექტუალური არსება ამის წინააღმდეგია, სხვა და სხვა საზოგადოებრივის, გინდ სარწმუნოებრივის მოსაზრებით (ამის მაგალითებს თვით ყაზბეგი გვაძლევს). ჩვენ ვებრძვით ამ გრძნობას, მაგრამ ბრძოლა ჩვენი თან და თან სუსტდება, ძალა სიყვარულისა კი მატულობს, თითქო ისვამდეს იმ ღონეს, იმ ენერგიას, რომელიც დავკარგეთ მასთან ბრძოლაში! „ნურვინ იტყვის ხორციელი", რომ მას შეეძლოს დათრგუნოს გულში ეს გრძნობა, შეასუსტოს იგი, თუ თვით გრძნობას, ასე ვთქვათ, მაგრა გაუდგამს ფესვები და თქვენი დამონება გადაუწყვეტია. ეს იმისავე თქმა იქნებოდა, რომ ჩვენ მკვდრის მკვდრეთით აღდგენა შეგვიძლიან და ჩვენ სხეულში უკვე გაბატონებული სიკვდილის ძლევა. „სიკვდილის გადავრჩითო". ეს მეტაფორა გახლავთ: სიკვდილი უძლეველი გახლამთ, მისგან გადარჩენა, მისი ძლევა ჯერ შეუძლებელი გახლავთ, ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერც კლდოვანიო", „მისგან ყოველი გასწორდეს სუსტი და ძალ-გულოვანი". სთქვა უკვდავმა შოთამ და იგი დღესაც უცვლელი ჭეშმარიტებაა. და ნუ თუ, გგონიათ სიცოცხლეს ნაკლები ძალა ჰქონდეს სიკვდილზე. იგიც იბრძვის. იგიც იმონებს სულიერსა და უსულოს და ჩვენ ვხედავთ, რომ მისი სამეუფო ბევრად უფრო ძლიერია და თვალ-უწვდენელი, ბევრად უფრო უსაზღვრო და მშვენიერი, ვიდრე სამეუფო სიკვდილისა, ამ სიცოცხლის დაუძინებელ მტრისა. განა არ არის ჩვენს ცხოვრებაში ისეთი მომენტები, რომ სიკვდილი გვწყურია, გვინდა მოვიახლოვოთ ისე, როგორც მომაკვდავს სიცოცხლის მოპოვება უნდა, მაგრამ ვერ ვახერხებთ. ხელში აღებული საწამლავი ჩვენდა-უნებურად იღვრება, ჩახმახ-აწეული დამბაჩა ხელიდან გვივარდება, და ზღვაში გადასავარდნად ან კლდეზე გადასაჩეხად გამზადებული, ხელსაც კი არ გავიკაწრავთ ხოლმე. მთელი ჩვენი არსება, გონება, აზრი, ზნეობრივი წარმოდგენა, ტრადიცია გვირჩევს სიკვდილს. გადაწყვეტილიცა გვაქვს, მაგრამ სიცოცხლე გვძლევს, სიცოცხლე გვიმონებს, გვიმორჩილებს და ვით პაიკს, ვით ბუზს, ვით ჰეპელას, თავისის კანონების, თავისის სისტემის აღსასრულებლად ჩვილს მიგვიჩენს. არასოდეს ისეთის სიმწვავით ეს აზრი, ეს გრძნობა გულში არ ჩამსახვია, როგორც რომელიმე ძვირფასის არსების დასაფლავების დროს. ხედავ, რომ შენი სიცოცხლის საუკეთესო ნაწილი გაკლდება, ჰხედავ, რომ თვით შენი სხეული იმარხება, ფიზიკურად გრძნობ შენის ხორცის დადუნებას და ამავე დროს მიაბარებ თუ არა მიწას შენს საიყვარელ ადამიანს, გამორბიხარ, რათა თავდაიწყებით ჩაება ცხოვრების ფერხულს. არა ყოველთვის არის ეს კაცის გულქვაობისა და გულგრილობის მაჩვენებელი. ეს მისი უბადრუკობის, მისი სისუსტის ერთ-ერთი საბუთია. ვერ წარმომიდგენია, რომ საყვარელ ადამიანის დაკარგვას სიცოცხლის მოსპობის ძლიერი სურვილი არ მოსდევდეს, ხშირად კიდევაც ისპობენ სიცოცხლეს—ეს ისინი, ვინც სიცოცხლემ ვერ დასძლია, არამედ სიკვდილმა დაიმორჩილა; ისინი ვინც თავის გრძნობის, სულისა და გონების წინააღმდეგ ცოცხლები რჩებიან და სიცოცხლის მაჩანჩალობას ეწევიან, იმიტომ, რომ ამათზე სიცოცხლე იმარჯვებს, სიცოცხლე იმონებს მათ.

უცნაური ძალა სიყვარულისა ყაზბეგმა არა ერთხელ გადაგვიშალა თვალწინ, და აბა დააკვირდით მათიას, ელგუჯასთან ძმად გაფიცულს და მის გრძნობებს მზალოს მიმართ. მათია მზალოს ნახავს ელგუჯას დავალებით და მასთანაც ძმად გაიფიცება. მაგრამ ამან გადასწყვიტა საუკუნოდ მათიას ბედი, იგი სიყვარულმა დაიმორჩილა. მათია თითქო სიხარულით დაბრუნდა, მეგობრის სურვილი აღვასრულეო „მაგრამ საკვირველი ეს იყო, რომ ამის შემდეგ მათიას ნამდვილი სიხარულის მაგივრად, **რაღაც სევდა მოაწვა და თითონაც ვერ გაეგო, თუ რასა გრძნობდა და რა უნდოდა?"**

მათიას „ჩვეულება დასჩემდა ცხვარს მოშორდებოდა და მთელი საათობით ჩაფიქრებული რამოდენიმე საათობით იდგა და ჯერ თითონაც კარგად ვერ გამოერკვია, რა მიზეზი იყო ამისი, თუმცა ყოველ ამ დაფიქრებასთან ერთად **თვალ-წინ წარმოუდგებოდა ხოლმე მლიმარე სახე მშვენიერის ქალისა, რომელიც თავის უფუნა თვალებით, მათიასავე უნებურად, იზიდავდა იმის გონებას, ხანამ თავ-დავიწყებამდის არ მიიყვანდა,** რა ამ მდგომარეობამდის მივიდოდა, ისეთს სანატრელს, თუმცა ტანჯვით სავსე, გრძნობაში შედიოდა, რომ იმასთან გაყრა წარმოუთქმელი უძლურება იყო მათიასათვის...

ეს სურათი გახლდათ ლამაზი ჩერქეზის ქალის, ელგუჯას სატრფოსი, რომელიც მათიას უნებურად სოლსავით ჩასჯდომოდა გულში.

პირველში მათიას ეგონა, რომ ეს სიყვარული იყო და-ძმური, რომელიც დაბადებულიყო ელგუჯას მდგომარეობის თანაგრძნობით; მაგრამ რამდენიც ხანი გადიოდა, რამდენსაც მეტს აკვირდებოდა ამ საქმეს და ცდილობდა თავიდამ მოეშორებინა მზალოს სახე, იმდენად ის უფრო ცოცხლად ეხატებოდა გონებაში **იმას უნებურად სწყუროდა მზალოსთან განუშორებლად ყოფნა, იმის ყურება, იმის ალერსი.**

**უბრალოდ არწმუნებდა მათია თავის თავს, რომ ის მაცდურმა შეიპყრო, რომელმაც უნდა აღალატებინოს ძმობას, მეგობრობას და წესსა** უბრალოდ ცდილობდა შეეყენებინა თავის **გრძნობა, რომელსაც დღითი-დღე ემატებოდა ცეცხლი და უმეტესად ადუღებდა იმის სისხლს** ყოველ ამგვარ ძალდატანების შემდეგ თავის-თავზედ დაუმორჩილებელი გრძნობა უმეტესის ძალით იბადებოდა, უმეტესის ძალით იჩენდა თავს.

ამ რამდენსამე დღეში მხიარული, მოცინარი უზრუნველი მათია შეიქმნა დაფიქრებული, დაღონებული. იმისმა ყმაწვილობის, კარგად-მყოფობის დამამტკიცებელმა ფერმა. დაჰკარგა თავის სიწითლე და შეიცვალა რაღაც ავადმყოფ ფერად.[5])

აი, მთელი ფსიხოლოგია სიყვარულისაგან პრმად დამონავებულისა. ყოველივე მისი მოსაზრება წინააღმდეგია ამ გრძნობისა, მან უნდა პირი გაუტეხოს ძმად ნაფიცს ქალს, უნდა უღალატოს ძმად ნაფიც მეგობარ ელგუჯას, უნდა შელახოს თემის წესი, თუ კი ამ გრძნობას აჰყვება—იცის ეს, სცდილობს თავიდან მოიშოროს და ვერ მოუხერხებია. აკი მოგახსენეთ, რამდენადაც ებრძვის, იმდენად გრძნობა უფრო ძალას იკრეფს და როცა ხელახლა ნახავს მზალოს, მას მოიცავს ეს გრძნობა მთელის თავის მხეცურის და უცნაურის სურვილით და მთლად გონებას დაუბნევს:

„მათია კანკალებდა და მღელვარება ნებას არ აძლევდა, ხმა ამოეღო. პირველსავე ხელის მოკიდებაზედ იმას **ეგონა ცეცხლის მოხვედრა ხელში, რომელიც განუწყვეტლად რაღაც ძალით, გადადიოდა მათიას ხელებში, უვლიდა გულში,**[6]) **თავში, მთელს სხეულში, თავბრუსა ჰხვევდა და შეჰყავნდა ბურანში გონება და აზროვნება ჰლალატობდა...** იმან მოჰხვია მკლავები, მიიკრა გულზედ გაშმაგებულმა რამდენჯერმე აკოცა.

აჰა კიდევ ფიზიოლოგია, ხორციელება სიყვარულისა და თანაც მისი უძლეველობა, მისი შეუწყნარებლობა. მათია ბრძოლას სტოვებს და ეხლა სიყვარულის ბრძანებას ასრულებს, იგი სცდილობს გარედ გამოაფინოს თავისი გრძნობები, სცდილობს ჩაითრიოს მზალო და ამგვარად, აღასრულოს მოთხოვნილება ბუნებისა. მას ყოველივე დაავიწყდა, იგი მარტო მხეც არსებად შეიქმნა, წარმტაცის და თანაც მომწამვლელის გრძნობის ყურმოჭრილ იარაღად. ეხლა როცა წინ აღემართება შეკითხვა—**რა** პირით უნდა შეხედოს ელგუჯასო—**ის** თავის მართლებით იტყვის, „რაი ჩემი ბრალია, მიყვარს და რაი უნდა ვქმნაო".

დიაღ, მართალიც იყო: მათია იყო ისე, როგორც მკვდარი, რომელსაც მის სიკვდილში **ბრალი არა** აქვს, ბუნების შვილი **ბუნების** კანონის მსხვერპლი გამხდარა, წმინდა და ძლევამოსილი გრძნობა მასაც სწვევია, მისდა უნებურად, მისის სურვილის გარეშე და რა უნდა ჰქმნას? განა დამნაშავენი ვართ ჩვენ იმაში, რომ ვიბადებით და ქვეყნად ვჩნდებით ორის არსების კაპრიზისა და სურვილის მიზეზით? ნუ თუ დამნაშავე ვართ იმაში, რომ ჩვენი მშობლები სისხლ მოწამლულნი არიან და ჩვენ ვიბადებით ავადმყოფის მემკვიდრეობით ანა და დამნაშავენი ვართ მაშინ, რომ მამა ან დედა ჩვენი ბოროტმოქმედი იყო, გინდ კაცის მკვლელი, გინდ ავაზაკი? საცოდავ მათიას კი აწამებდა და სტანჯავდა ეს გრძნობა.

---

[4]) „ელგუჯა" გვ. 108.

[5]) იხ. „ელგუჯა", 125—126.

[6]) ხაზი ჩემია, ეს უცნაური სტილი კი-სამწუხაროდ, ყაზბეგისაა. „ელგუჯა", გვ. 132—133.

არის თუ არა რუსეთში კონსტიტუცია? ერთგვარად დაინტერესებული იყო.

ყველა უჩივის გუჩკოვს, რომ მან პარტია „გადაყლაპაო“. სასაცილო ამბავიც ხშირია. ბევრმა ცენტრალურ კომიტეტის ადრესიც არ იცის.

გუჩკოვი ადრესის გამოცვლას არც კი აცნობებს ხოლმე თავის „განყოფილებებს“, თუნდა ყოველ შემთხვევისათვის, მაგალითად, წერილისათვის. თითქოს წინ-და-წინვე იცოდეს, რომ არაფერი სახეირო არ გამოვა.

ზოგს ეჭვიც ეპარება: საერთო კრების მოწვევის შესახებ ა. გუჩკოვიც ხომ იმ მოსაზრებით არ ხელმძღვანელობს, რომლითაც ხელმძღვანელობდა პეტრე დიდი, როდესაც თავის შესანიშნავ „უქაზსა“ სცემდა:

„ფენდრიკი თუმცა შეხვდა ფენდრიკს, მაგრამ მათ ერთმანეთისათვის ხმა არ გაუციათ, რადგან რა უნდა უამბოს ფენდრიკმა ფენდრიკს სისულელის მეტი!?.“

მაგრამ...

თვით ოქტომბრისტი ვალაპარაკოთ ოქტომრისტებზე.

მოვისმინოთ მათი ღაღადი, თუ რაოდენად „გაბატონებული“ პარტია ყოფილა იგი მთელს რუსეთში.

სიტყვა ეკუთვნით ბ-ნთ ოქტომბრისტებს...

**ჯაფარ-ფაშა.**

# სპარსეთი

**რუსის ჯარი სპარსეთში.**

ამას წინად ხმა გავრცელდა, რომ რუსის ჯარი 15 აგვისტომდე გამოვა ყაზვინიდანაო. მაგრამ რუსულმა გაზეთებმა სარწმუნო წყაროდან შეიტყეს, რომ ეს ხმა „საფუძველს მოკლებულიაო“. პირიქით რუსეთის მთავრობამ გადასწყვიტა ჯარი იმ დრომდე დატოვოს ყაზვინში, ვიდრე სპარსეთში „სრული მშვიდობიანობა და წესიერება“ არ დამყარდებაო.

რუსეთის მთავრობის ასეთმა გადაწყვეტილებამ ძლიერ დააფიქრა რუსული პროგრესიული გაზეთები, რომლებმაც მოწინავე წერილები უძღვნეს ამ საქმეს და მოითხოვეს რუსის ჯარის გამოყვანა ყაზვინიდან, რადგან რუსის ჯარის დატოვებას სპარსეთში შეიძლება მეტად საშიში შედეგები მოჰყვესო. „რუსკია ვედომოსტი“ შემდეგსა სწერს ამ საქმის თაობაზე:

„ძნელი გასაგებია, რა საბუთის ძალით სტოვებს რუსეთის მთავრობა ჯარს სპარსეთში. როდესაც რუსის ჯარი სპარსეთში შევიდა, მთავრობამ ბეჯითად, ხაზ-გასმით გამოაცხადა, რომ რუსის ჯარი სპარსეთში განსაკუთრებით უცხოელების და რუსების ინტერესების დასაცველად მიდისო. მას შემდეგ სპარსეთში რევოლიუციამ გაიმარჯვა, ძველი შაჰი ტახტიდან ჩამოაგდეს და მის მაგივრად ახალი შაჰი აიყვანეს ტახტზე; ყველა ამ დიდმა ამბავმა ისე წყნარად ჩაიარა, რომ უცხოელების ინტერესებს არაფერი არ დაჰშავებია. ამ ჟამადაც არავითარი საფრთხე არ მოელით ევროპიელებს სპარსეთში. მაშასადამე რუსის ჯარის დარჩენა სპარსეთში საჭირო აღარაა; ამიტომაც გავრცელდა ხმა, რომ რუსის ჯარს შინ დააბრუნებენო. მაგრამ ეხლა უარჰყვეს ეს ხმა და გამოაცხადეს, რომ რუსის ჯარი დარჩება ჩრდილოეთ სპარსეთშიო.

თუ ეს ცნობა მართალია, უნდა ვიფიქროთ, რომ რუსის ჯარი ამ მოკლე ხანში აღარ აპირებს სპარსეთიდან წარმოსვლას. სპარსეთი განიცდის სერიოზულ შინაგან შფოთსა და არეულობას. ასეთი ხანა ყველგან დიდ ხანს გასტანს ხოლმე და მით უმეტეს ხანგრძლივი იქნება იგი ისეთს ქვეყანაში, როგორიც სპარსეთია, სადაც წესიერად მოწყობილი სახელმწიფოებრივი მმართველობა მშვიდობიანობის დროსაც არ არსებობდა, სადაც წინადაც თითქმის ანარქია სუფევდა და სადაც სახელმწიფოს სხვა და სხვა ნაწილები ფაქტიურად თითქმის დამოუკიდებელნი იყვნენ ერთმანეთისაგან. ასეთ ქვეყანაში დიდ ხანს მოუნდებიან „სრულის წესიერების“ აღდგენას, მაშასადამე სტოვებს რა თავის ჯარს ყაზვინში სრულ წესიერების აღდგენამდე, რუსეთი ფაქტიურად კისრულობს მოვალეობას — კიდევ დიდ ხანს იყოლიოს ჯარი ჩრდილოეთ სპარსეთში და სპარსეთის შინაურ საქმეებში ჩაერიოს იმ შემთხვევებშიაც-კი, როდესაც ევროპიელთა ინტერესებს არავითარი ზარალი არ მოსდის. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ უცხოელ ჯარის ყოფნა ისეთს ქვეყანაში, სადაც შინაური ბრძოლაა გაჩაღებული, ხშირად თავის თავად გამოიწვევს ხოლმე საქმის გართულებასა. ადვილად შეიძლება საქმე ისე დატრიალდეს, რომ უცხოელი რაზმი იძულებული გახდეს აქტიურად ჩაერიოს ბრძოლაში და ერთ-ერთ მებრძოლ პარტიას დაუჭიროს მხარი.

ამნაირად რუსის ჯარის დატოვებას სპარსეთში შეიძლება მეტად სერიოზული შედეგები მოჰყვეს, ხოლო მისი იქ ყოფნა კი სრულებით საჭირო არაა. რუსის ჯარის შესვლამ სპარსეთში დაანახვა სპარსელებს, — თუ რასაკვირველია ეს საჭირო იყო, — რომ რუსეთი მუდამ მიეშველება ევროპიელებს ჩრდილოეთ სპარსეთში, როცა მათ გაჭირვება დაადგებათ. რუსის ჯარმა შეასრულა ეს თავისი დანიშნულება და ეხლა უნდა უთუოდ გამოვიდეს სპარსეთიდან, თუ რუსეთს არ უნდა რომ ახალ ავანტიურაში ჩაებას“.

# ესპანია და მაროკო

ინგლისურ გაზ. „დეილი ნიუს“-ის საგანგებო კორესპონდენტს, ესპანელ ჯარის უფროსების ნებართვით, დაუვლია მელილას სიმაგრეები. კორესპონდენტი ჰფიქრობს, რომ კაბილები დიდ ზარბაზნების შიშით მოერიდებიან ესპანელებთან დიდ გადამწყვეტ ბრძოლას; ისინი ალბად ამჯობინებენ პარტიზანულს ომს. კაბილები და საზოგადოდ მაროკოს მცხოვრებნი იმდენად გულმოსულნი არიან ესპანელებზე, რომ თვით მშვიდობიანი ტომებიც-კი, რომლებიც აქამდე არც ერთს მებრძოლ მხარეს არ უდგებოდნენ, ეხლა ბეჯით დახმარებას უწევენ იმ ტომებს, რომლებმაც ალყა შემოარტყეს მელილას: უგზავნიან ცხენებს, სურსათს და იარაღს. ყველანი ჰფიქრობენ რომ კაბილები დიდ ხანს არ მოხსნიან ალყას მელილას ციხეს. ესპანიის მთავრობა ხმას ავრცელებს, ვითომ კაბილები მორიგებას ნატრობენო, მაგრამ ეს ცოცხალი ტყუილია, კაბილების საშველად მოდის 10 ათასი მეომარი, სულ ახალთ-ახალ ევროპიულ თოფებით შეიარაღებული.

კორესპონდენტის ანგარიშით, აქამდე ესპანელებისთვის 3,400 ჯარის კაცი მოუკლავთ და დაუჭრიათ კაბილებს. გენ. მარინას იმედი აქვს, რომ მალე 38,000 ჯარის-კაცი და რამდენიმე სამხედრო გემი ეყოლება ხელქვეით. მაშინ მარინა იერიშს მიიტანს კაბილებზე, მაგრამ სწორედ ეს იერიშის მიტანა იქნება საშიში ესპანელებისთვის.

ამას წინად ხმა გავრცელდა, ვითომ მაროკოს სულთანმა მულაი-გაფიდმა კაცები გაუგზავნა რიფიოტებს და სთხოვა (კაბილებს), ესპანელებს მოურიგდითო როგორმეო. ნამდვილად-კი მულაი-გაფიდს საიდუმლოდ შეუთვლია რიფიოტებისთვის, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლეთო.

# უცხოეთი

**შორეულ აღმოსავლეთში.**

რუსული გაზეთები ამ ბოლო დროს ისევ ბეჯით ყურადღებას აქცევენ შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებს, ჩინეთსა და იაპონიას, და დიდ ადგილს უთმობენ იქაურ ამბებს. თუ რუსულ გაზეთებს დავუჯერებთ, ჩინეთი და მეტადრე იაპონია ბეჯითად ემზადებიან რუსეთთან საომრად და არ გავა ორიოდე წელიწადი, რომ შორეულ აღმოსავლეთში ისევ დაიჭექებს ზარბაზნი.

ჩინეთი ფიცხად შეუდგა თავის ჯარის მოწყობას ევროპიულ წესზე და უკვე გაჩინა საკმაოდ ძლიერი რაზმი ევროპიულად მოწყობილ ჯარისა. ამას გარდა, ჩინეთმა დიდი ყურადღება მიაქცია ჩრდილოეთ მანჯურიის დასახლებას და რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ, სულ ორიოდე წელიწადში, მან სოფლებით გაავსო მანამდე უდაბური, ვერანა ადგილები რუსეთის საზღვარს ახლო. გადასახლების საქმე ჩინეთმა ისე საუცხოვოდ მოაწყო თურმე, რომ რუსული გაზეთები თითქმის ერთხმად ურჩევენ რუსეთის მთავრობას, ჩინეთისგან მაინც ისწავლეთ, როგორ უნდა მოეწყოს ციმბირში გადასახლების საქმეო.

ჩინეთის მთავრობამ მანჯურიის გარდა დიდი ყურადღება მიაქცია მონღოლეთს (მონგოლიასა) და აღმოსავლეთ თურქესტანის დასახლებასაც. ეს პროვინციებიც რუსეთის საზღვარს ახლო მდებარეობენ და როგორც ჩინელებს ჰგონიათ, იმათზედაც უჭირავს რუსეთს თვალი.

ხარბინის გაზ. „ნოვაია ჟიზნ“ში მოყვანილია ნაწყვეტი ჩინეთის სამხედრო მინისტრის სიტყვიდან, რომელიც მას წარმოუთქვამს ჩინეთის სახელმწიფო საბჭოში.

„რუსეთს დიდი ხანია თვალი უჭირავს მონღოლეთსა და აღმოსავლეთ თურქესტანზე. თქვენ იცით, რომ რუსეთმა ამ პროვინციების თითქმის ყველა ქალაქში გაგზავნა თავისი კონსულები. მერე, მან იქ გაგზავნა ყაზახებიც, რომლებმაც დაუბრკოლებლივ გადმოლახეს ჩვენი საზღვარი და ადგილობრივ ხალხში დასახლდნენ. ჩვენი მთავრობა ხმას არ იღებდა რუსეთის ასეთ მოქმედების წინააღმდეგ, ხოლო ცხადია, რომ რუსეთის მოქმედება დაღუპავს უქადის ჩინეთს. მანჯურიისა და აღმოსავლეთ თურქესტანის საზღვრები 10,000-ლის სიგრძეზე სულ არაა გამაგრებული. ეს უზარმაზარი პროვინციები, რომლების დიდი მნიშვნელობა ყველასთვის ცხადია, მეტად თხლადაა დასახლებული და ვაჭრობაც ძლიერ სუსტია იქა. რადგან ამ პროვინციებში ჯერ-ჯერობით შეუძლებელია ჯარის მოწყობა ევროპიულ წესზე, მე მოვითხოვ, რომ ამ პროვინციების საზღვრების დასაცველად გაიგზავნოს ჯარის პოლიციის მცველი ინსპექტორი“.

ქალ. გირინის ჩინური ოფიციოზური გაზეთი იუწყება: ქალ. ტანანფუს პოლიციის უფროსმა დეპეშით მოახსენა მანჯურიის მთავარ მართებელს სილიანს, რომ რუსები ყოველნაირად ცდილობენ მანჯურიაში დამკვიდრებასა და თავიანთ გავლენის გაძლიერებასაო და თან სთხოვა, ხელი შეუშალეთ რუსების განზრახვის ასრულებასო.

რუსული გაზ. „ხარბინ“-ი სწერს: იაპონიის სამხედრო სამინისტრომ რუსის გამომცემელ ფირმებს შეუკვეთა დიდძალი ეგზემპლიარი ვ. დალის „რუსულ ენის ლექსიკონისა“. ამ ლექსიკონს იაპონიის სამხედრო სამინისტრო გაუგზავნის ყველა პოლკისა და სამხედრო სასწავლებლების ბიბლიოთეკებს.

**უარყოფილი საყოველთაო გაფიცვა.**

ამ მოკლე ხანში რუს-ხელმწიფე და იტალიის მეფე ერთმანეთს შეხვდებიან ზღვაში, იტალიის ნაპირებს ახლო. ამის გამო იტალიელ მუშების ნაწილმა იტალიის მუშათა კავშირის წარმომადგენელთა კრებას ტურინში წინადადება მისცა, საყოველთაო გაფიცვა მოვახდინოთ დემონსტრაციის ნიშნადო, მაგრამ კრებამ თითქმის ერთხმად უარჰყო ეს წინადადება (რ.)

**ინდოელ ტერორისტის სიკვდილით დასჯა.**

4 აგვისტოს დილით ლონდონში სიკვდილით დასაჯეს ინდოელი პატრიოტი ჯინგრა, რომელმაც ამ ერთი თვის წინად მოჰკლა ინგლისელი პოლკოვნიკი კერზონი. ჯინგრა უკანასკნელ წამამდე თურმე იჩენდა იშვიათ მამაცობას და სიკვდილსაც ვაჟკაცურად შეხვდა. უკანასკნელი მისი სიტყვა იყო: „პატრიოტული საქმე ჩავიდინეო“.

# რუსეთი

**✦ პროტესტი ხოლმის გამოყოფის წინააღმდეგ.** „რანეე უტრო“-ს აცნობინებენ: ხოლმის მცხოვრებლები პეტიციას ადგენენ. პეტიციაში მოკლედ აღნიშნულია ხოლმის წარსული, ნათქვამია, რომ ხოლმის პოლონეთიდან გამოყოფა ხოლმის მცხოვრებლებს დიდ ზარალს მოუტანსო და სხვა. პეტიციაზე ჯერ-ჯერობით ხელი უწერია 400,000 კაცს, სხვათა შორის, გამოჩენილ მწერლებს და საზოგადო მოღვაწეებს. პეტიციას პეტერბურგში განსაკუთრებული დეპუტაცია ჩამოიტანს.

**✦ დაბალ პოლიციის რეფორმა.** სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო იმუშავებს კანონ-პროექტს, რომლითაც დაბალ პოლიციის სრული რეორგანიზაცია უნდა მოხდესო. კანონ-პროექტის შესამუშავებლად ცალკე კომისია შეუდგენიათ. პოლიციის სრული რეორგანიზაციის შესახებ საკითხი აღუძრავს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგ კრიჟანოვსკის. ამ უკანასკნელის სიტყვით პოლიციელები იმდენად მოუხეშავები არიან, იმდენად არ შეეფერებიან თავიანთ დანიშნულებას, რომ აუცილებლად საჭიროა დაბალ პოლიციის სრული რეორგანიზაცია. კრიჟანოვსკის აზრით საჭიროა პეტერბურგში დაარსდეს კურსები და ვისაც პოლიციაში შესვლა უნდა ეს კურსები უნდა გაათავოს. სხვათა შორის კრიჟანოვსკი თხოულობს, რომ შეიცვალოს დარაჯების (გოროდოვოის) ფორმა. სალდათის ფორმა ხალხს აფრთხობსო, სწერს კრიჟანოვსკი. პოლიციელობა საპატიო თანამდებობაა, მცხოვრებლები მათ პატივისცემით უნდა ეპყრობოდნენ და ამისთვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ თვით პოლიციელები მცხოვრებლებს პატივისცემით და კარგად ეპყრობოდნენო. ამ კანონ-პროექტს სახელმწიფო სათათბიროში მომავალ სესიაში შეიტანენ.

**✦ თვითმკვლელობა სასწავლებლებში.** საერო განათლების სამინისტროს სასწავლებლების საექიმო სანიტარო განყოფილებას გამოუქვეყნებია ცნობები, საიდანაც სჩანს, 1908 წელს რამდენ მოსწავლეს მოუკლავს თავი, ან განუზრახავს თვითმკვლელობა. როგორც ამ ცნობებიდან სჩანს 1908 წელს თავი მოუკლავს 83, თავის მოკვლა განუზრახავს 49 მოსწავლეს. თავი მოუკლავს 19, თავის მოკვლა განუზრახავს 23 ქალიშვილს. ყველაზე მეტი თვითმკვლელობა მომხდარა საშუალო სასწავლებლებში — 43 ვაჟი და 18 ქალიშვილი, შემდეგ მოსდევს უმაღლესი სასწავლებელი — 16 სტუდენტი და ბოლოს დაბალი სასწავლებელი — 6 ვაჟი და 1 ქალიშვილი. 62 შემთხვევაში მოსწავლეებს მიუმართავთ სასროლ იარაღისთვის, თავი მოუწამლიათ 22 შემთხვევაში, წყალში გადავარდნილან 3, თავი დაუხრჩიათ — 11, მატარებელს ქვეშ ჩავარდნილან 2 შემთხვევაში. თვითმკვლელობის მიზეზი: ნერვებით მოშლა (21), ფიზიკური ავადმყოფობა (2), ეგზამენები (4), ნიშნები — (2 თვითმკვლელობა და 7 განზრახვა), გამორიცხვა და სასწავლებლების უფროსებთან ჩხუბი (თითო), შიში დასჯისა (2 თვითმკვლელობა, 4 განზრახვა), ოჯახი (14 თვითმკვლელობა და 10 განზრახვა), უიმედო სიყვარული 16).

**✦ გარტინგი საფრანგეთში.** გერმანული გაზეთები „ნოიე-ფრეიე-პრესსე“ და „ბერლინერ ტაგებლატი“ იუწყებიან, სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ ხელმწიფე იმპერატორის შერბურგში ყოფნის დროს რუსეთის პოლიციის აგენტებს უფროსობდა გარტინგ-ლანდეზენიო. ამას გარდა ზემოდ მოყვანილი გაზეთები ირწმუნებიან, რომ გარტინგი პეტერბურგში დაბრუნდება და აქ გადასწყდება სად იცხოვროს მან — რუსეთში თუ საზღვარ-გარეთაო. რუსეთის საზღვარ გარეთის საიდუმლო პოლიციის უფროსად კი დანიშნავენ ერთ აფიცრად ნამყოფსაო. საფრანგეთის მთავრობას უკვე თანხმობა უნდა განეცხადებინოსო. ჟორესი თავის გაზეთ „ჰუმანიტე“-ში სწერს, გერმანულ გაზეთების ცნობა მართალია, მეც გავიგე სარწმუნო წყაროებიდან, რომ გარტინგი შერბურგში იყოვო. ჟორესი ამ ცნობას შემდეგ სიტყვებს უმატებს: მიუხედავად მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფ კლემანსოს სიტყვებისა, საფრანგეთში საზღვარ-გარეთის პოლიციის მოქმედებას მოვსპობთო, შერბურგში გარტინგ-ლანდეზენი მიდის, და რუსეთის საზღვარ-გარეთის პოლიციის უფროსს საფრანგეთის მთავრობის თანხმობით ვიღაც აფიცრად ნამყოფი ინიშნება. ვეკითხები მინისტრ-პრეზიდენტ ბრიანს: მართალია, რომ გარტინგი საფრანგეთში იყო და საფრანგეთის პოლიციის თანხმობით თავის მოქმედებას განაგრძობდა, მართალია, რომ საფრანგეთის მთავრობის თანხმობით რუსეთის საზღვარ-გარეთის პოლიციის უფროსად ახალი პირი ინიშნებაო?

**✦ ქალთა კერძო საექიმო ინსტიტუტები.** პეტერბურგში ამ მოკლე ხანში გაიხსნება ქალთა ორი კერძო საექიმო ინსტიტუტი. ინსტიტუტის წესდების ძალით [illegible] ქალების გარდა ვაჟებსაც შეეძლებათ შესვლა. ინსტიტუტების [illegible] საერო განათლების მინისტრს.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ გაზეთ „დროებაში“ 20 ივლისს ქალთა წრის მიერ თელავში გამართულ ქ. შ. წ.-კ. საზოგადოებასთან არსებულ ილია ჭავჭავაძის ფონდის სასარგებლოდ საღამოს ანგარიშს:

შემოსავალი: ბილეთები გაიყიდა — 196 მ. 24 კ., ბუფეტიდან — 17 მ. 50 კ. სულ 242 მან. 14 კაპ., ხარჯი: ტფილისელ არტისტებს — 60 მან., ბილეთების მარკები — 14 მ. 44 კ., კლუბის ქირა 15 მან., მოსამსახურეების და სკამების ქირა — 11 მ. 17 კ., დეკორაციის ქირა — 3 მ., პარიკმახერს 4 მ., აფიშები და ბილეთები — 7 მ., დამკვრელები 6 მ., ტკბილეულობა ბუფეტისათვის 7 მ. 78 კ., დეპეშა — 2 მ. 35 კ., ქაღალდი, კონვერტი, წერილების გაგზავნა და სხვ. 3 მ. 61 კ. ფულის გაგზავნა — 30 კ. სულ 134 მ. 75 კ.

წმინდა შემოსავალი დარჩა 107 მან. 39 კაპ. რომელიც გაეგზავნა წ.-კ. საზოგადოების მთავარ გამგეობას ილიას ფონდისთვის 28 ივლისს (ფოსტის კვიტანცია, № 564).

ამასთან, ქალთა წრის გამგეობის დავალებით, მადლობას უძღვნი: თავ. გიორგი გიორგის ძე ერისთავს — 5 მან., დავით მგალობლიშვილს — 3 მან. და ბ-ნ სოკოლოვს — 1 მან. შემოწირულებისათვის, გაზეთ „დროების“ რედაქციას განცხადების უფასოდ დაბეჭდვისათვის, ვ. როინაშვილს სურათის დახატვისათვის, ქ-ნთ: ნ. ალ. გამყრელიძეს, ქ. მჭედლიშვილისას, ნ. არ. გამყრელიძეს და ბ-ნთ: და ვ. აწყურელს, კ. ჭელიძეს, თავ. ი. ვახვახიშვილს, ივ. გამყრელიძეს, ძმ. კაკაბაძეებს და გ. მირიანაშვილს წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებისათვის და ყველა იმ პირთ, რომელთაც საღამოს გამართვაში ხელი შეგვიწყეს, პირადის დახმარებით თუ წარმოდგენაზე დასწრებით.

საღამოს გამგე თამარ ალ. **აბაშიძე**


# განცხადებანი

**პირველი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანცისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირების გარდა

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**ე. მ. ჩიქოვანი**: 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი**: 10—11 ს. საბეჭიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულიერი**: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ბუქტიხიანცი**: 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი**: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი**: 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურზოვიჩი**: 1—2 ნახ. საათამ საბებიო და ქალებისა.

**საღამოთი:**

**ი. გ. გეევსკაია-ენგელი**: 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
**ი. დ. მარცინევსკი**: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ.—1—148)

**დაიბეჭდა** ქართული პიესები: **„უშნო არშიყი“**, კომ. 3 მოქმ., **„სოფიო“**, ვოდევ. 1 მოქმ., **„დუქნის ოთახში“**, სცენა ქალაქის ცხოვრებიდან, თხზულებანია ალ. თუთაევისა. გამოცემა მეორე: ფასი 20 კაპ.

იყიდება: წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში; „ცოდნის“ წიგნის მაღაზიაში; ქ. გორში — არსენ კალანდაძესთან, ტფილისში — დიდუბეში ავტორთან სახ. ზაზ. N 212. ვინც 20—50 ცალს გამოიწერს, დაეთმობა 25%.
(25—393—7)

# საბუღალტრო კლასსები

**ი. ფონ-ბრენნერისა**

დაარსებული 1890 წ. ტფილისში, ნაზერენის ქ., ვერის ხიდთან.

სპეციალური საკომერციო სასწავლებელი ორივე სქესისთვის, მიიღებიან 15 წლისაზე არა უმცროსნი. ამ კლასსებში ამზადებენ ბუხჰალტრის, კორესპონდენტის, აგენტის და სხვა თანამდებობებზე მთავრობის, საზოგადოებრივ და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში. **სამაგალითო სასწავლებელი; საუკეთესო მასწავლებელნი.** 19 წლის განმავლობაში ათასობით ყმაწვილმა კაცმა გაათავა სწავლა, რომელთაც დღეს პასუხ-საგები ადგილები უჭირავთ. დაწვრილებით პროგრამმებში. თხოვნების მიღება უკვე დაიწყო. სწავლა 15 სექტემბრიდან. კანცელარია ღიაა ყოველ დღე.
(15—ბ.—10)


„რომელიც ცეცხლსავით უვლიდა გულში და **რომლის მოშორებაც უნდოდა, მაგრამ ძალა აღარ სწვდებოდა, ყოველი იმის სხეული, ყოველი ასო, ყოველი ნიჭი მზალოს შეეპყრო. დაე მორჩილებინა და თავის დახსნის შეცდა მხოლოდ მომეტებული წვალება-ლა იყო მათიასათვის.** [7]) ერთი აზრი-ღა ამაგრებდა იმის თავს და ეს აზრი იყო: ძმად ნაფიცის წინაშე მოვალეობა. მაგრამ, ვინ იცის, დიდ ხანს შესძლებდა ამით ბრძოლას?

და ველარც შესძლო და ერთ დღეს, როცა ელგუჯა სხვაგან წავიდა და მათია და მზალო ერთად მარტონი დასხდნენ, მათიას სიყვარული უკვე ისე ჰქონდა ძვალ-რბილში გამჯდარი, ისე ჰქონდა ამ გრძნობით, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, მოწამლული, უფრო კი ადუღებული, სისხლი, რომ მის აზრსა და გრძნობაში ყოველივე მოსაზრება უკვე ძლეული იყო, და როცა მზალოს თავის გულს გადაუშლის, ის კი თავზარდაცემული წინ წამოუყენებს სხვა და სხვა მის მოვალეობას, რათა ამით მაინც შეაჩეროს მისი გაშმაგებული გრძნობა, მათია თან და თან ყოველგვარ მოვალეობას უარსა ჰყოფს.

„და-ძმობა? — ლომისამ დასწყევლოს ნათესაობის მომგონი... ღმერთი? — **თუ ღმერთია, რად შემაყვარა შენი თავი?** რად არ მომაშორებს ამ სიყვარულს, რომელმაც კაცი კაცობით გადამაგდო.,. ათასჯერ მომივიდა თავშიო, რომ ელგუჯა მომეკლა, მაგრამ შენი წყენების მეშინოდა, თორემ **ღმერთს, ძმობას, ფიცს ყველას იქით გადავდებდი.**

ასეთის საბუთების წინაშე მზალოც კი იარაღ აყრილი რჩება და ენას ველარ იბრუნებს პასუხის გასაცემად: „ჩუმად იდგა და კანკალებდა“.

იმან აღარ იცოდა, რა ეთქვა, ან კი რა უნდა ეთქვა მარტოკა ქალს იმ კაცისთვის, **რომელიც სიგიჟემდის მიეყვანა სიყვარულს?** რა უნდა ეთქვა იმ კაცისთვის, **რომელსაც მთელი წლობით სიყვარული გულში ეტარებინა, ცდილიყო ყოველის გზით ამოეფხვრა ის თავის გულითგან, მაგრამ თითონ ეს გრძნობა გამხდარიყო იმის ბრძანებლად.** [8])

აი, თვით უნამდვილესი სურათი გრძნობისაგან დატყვევებულისა, იგი გაშმაგებულია, მისი არსების ბრძანებელი ეს საშინელი მწვავე და თან ტკბილი გრძნობაა. მუდმივი ბრძოლა მათიასი გათავდა გრძნობის ძლევამოსილის გამარჯვებით და თითქოს ბრძოლით გამოჯავრებული გაფრთებულიყოსო, მათიას უკიდურესობამდის მიიყვანს; კატასტროფა მზად არის, მათიას ელგუჯას სიკვდილი აქვს გადაწყვეტილი და კარების ბრახუნზე კიდევაც შეიმარჯვა ცული... მაგრამ საბედნიეროდ „ყაზახი რუსები“ შემოცვივდებიან ელგუჯას მაგიერ და მათიას თავს გაუჩეხენ. როცა ელგუჯა შევა, მათიას შურისძიების გამო შეაკვდება რუსებს.

ამგვარად, ღალატი მეგობრისა, თემის წესის დარღვევა თავიდან აცილდა მათიას და ამათი მაინც თავის დაუნებურად და წინააღმდეგ თასის სურვილისა „ახალის ბატონების“ მოქმედებამ სარგებლობა მოიტანა. ეს ერთად-ერთი ფაქტია ყაზბეგის მთელს ნაწარმოებში, სადაც ახალის ძალის თავხედობასა და ბარბაროსობას ვითომ და კეთილი შედეგი მოჰყვა. დაიღუპა ელგუჯა, მისი ოჯახი გაუბედურდა, მათიას სიცოცხლე მოუსპეს, მაგრამ მათიას გრძნობა, მისი აზრი და თემის წესი შეუბღალავი დარჩა. **კიტა აბაშიძე.**

(შემდეგი იქნება)

[7]) „ელგუჯა“ გვ. 134.

[8]) „ელგუჯა“ გვ. 134.

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აგლაძე.